140
1992/2

ISSN 0132 - 6007

578
140/2

ცოცხალი წყალი

1
1992

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ აფსაზავა

...და სიყვარული ალაღდგენს

ხალისიანი სიტყვების
წერა მინდა და ვერ ვწერ!
რა ბოროტებამ დაგვრია
ხელი გარდასულ ძველ წელს!

იმ დღეებს როცა ვიხსენებ,
თითქოს ბურუსში ვხედავ,
როგორ ესროდა ძმას ძმა და
შვილებს სწირავდა დედა...

სატანის ნებამ დაგვძლია,
მერე გაგვიწყრა ღმერთიც
და ერის ცრემლი ამიტომ
სისხლის მდინარეს ეროვის...

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება,
რომ ქართველები გვქვია!
სწორედ ახლა ხამს სიმტკიცე!
დღეს სხვა ქარები ჰქრიან!

და, მართალია, წინ, ალბათ,
ბევრი სიძნელე გველის,
მაინც იმედით აღვსილი
მოდის ახალი წელი!

გუნადი სანაიას ფოტო

მოდის!
სიკეთის, სიუხვის,
გამარჯვების გზებს კვალავს,
სულში გვითესავს სიყვარულს —
ავის დამრგუნველ ძალას!

მოდის!
თავისი სიკეთით
ერს ნაიარევს მობანს
და სიყვარულით აღადგენს,
რაც დააქცია მტრობამ!

სულ დაკარგულ თავისუფლებას მივტიროდით, სულ ვბობოჭრობდით, სულ ვოცნებობდით, ვნატრობდით, ვიბრძოდით, ხოლო როცა ბოლოს მრავალი და მრავალი თაობის ნაოცნებარი ახდა და ის დღეც დაგვიდგა, აღტყინებულებმა შორს ვეღარ გავიხედეთ, ერთბაშად მოვინდომეთ ყველაფერი, ერთხელღა გავზომეთ და ისე გავჭერით, ალბათ მომსკდარმა სიხარულმა დაგვაბნია, ალბათ პოლიტიკურმა გამოუცდელობამაც თავისი ქნა და...

მრავალთაგან ერთ-ერთი რომ ავირჩიეთ, მალევე გავაერთადერთეთ იგი და ლამის მესიად გამოვაცხადეთ, კერპად გავიხადეთ — ყველამ არა, ნაწილმა, — უდიდესი ტვირთის ზიდვა დავაკისრეთ. მან კი, რაკიღა სიამოვნებით ირწმუნა საკუთარი ერთადერთობა, სხვა არავინ შეიშველია, და ჩვენც გვარწმუნებდა, ჩემს მეტი სხვა ვერავინ მიიყვანს საქმეს ბოლომდეო. მაგრამ ვერ ზიდა ის ტვირთი მარტომ, ვერც ზიდავდა, იმიტომ, რომ მთელი ერისაა ის ტვირთი, ერი კი სულ მალე გაიყო და კვლავ აიშალა ქართველობა. კვლავ ძრწოლით გაიკლაკნა ჩვენს მიწა-წყალზე ბზარი, ზოგან კი ნაპრალმაც დააღო საზარელი ხახა და ისევ გაღმა-გამოღმა აღმოვჩნდით...

რომ ვიფიქრეთ, თუმცა კი შორს, მაგრამ მაინც აგვიკიაფდა მცირე ნათელი და მის მოსაახლოებლად მხარი მხარს უნდა მივცეთო, მაშინ გაგვიცრიატდა ის ნათელი, მაშინ ვაჯახეთ მხარი მხარს, გაიწია ხელმა იარაღისკენ...

მოძმენი გავიმეტეთ.

შვილები, ძმები, მამები, ქმრები, შეყვარებულები მოვუკალით ერთმანეთს.

აშენებულ-გაშენებული დავანგრიეთ და გადავწვით.

გულნატკენი გარინდულა გუშინ თავმომწონე, დღეს ი ჩვენივე ხელით გაპარტახებულ-პატივაყრილი, შეურაცხყოფილი, ნაომარი, ნატყვიარი, ნახანძრალი და ლამის ნაგამზირალი რუსთაველის გამზირი და იმის იმედითღა სულდგმულობს, რომ გონსმოგებული ქართველობა არ გასწირავს სამშობლოს, მოკლე დროში მოუშუშებს მას ყველა იარას და თავისი ნიჭით, გონებით, შრომითა და გარჯით ააყვავებს და ააღორძინებს მამულს:

ჩვენ კი გვჯერა, რომ ჩვენი სეფეგამზირი, ასე ვაუკაცურად რომ გაუძლო ყველა ტკივილს, კიდევ უფრო გამშვენიერებული აღსდგება ფერფლიდან და ნანგრევებიდან და ამიერიდან კიდევ უფრო პატივდებულს, იმის უფლებაც ექნება, რომ თავისი არსებობით შეგვახსენოს, თუ რა მოაქვს ბოროტებას, სიძულვილს, მიუტევლობას, გაუტანლობას, ფუჭ ამპარტავნობას, ცუდმედიდობას, სულის სიმდაბლესა და გონების შეზღუდულობას, ასე რომ მოეძალა ხალხის ერთ ნაწილს...

ნელ-ნელა გვიწმინდავდება სული და გული, გონებაც გვეხსნება, ხელებმაც მოინატრეს საქმე, განსჯასაც ვსწავლობთ, დინჯ, აწონ-დაწონილ განსჯას. ისე რომ, უთუოდ აგვიკაშკაშდება ის შორი ნათელი, უთუოდ...

საქართველოს ეროვნული

საქართველოს რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს ეროვნული
ყოველთვიური ბიბლიოთეკა
საყმაწვილო ჟურნალი



ნაკადული

№1 · იანვარი · 1992

ნომრის შინაარსი

ნ. ავალიანი — დღესასწაული კიდევ არსებობს 2
ბ. ბოცირიძე — შობა-ახალწელიწადი საქართველოში (წერილი) 4
მ. ზაალიშვილი — თოჯინების თეატრი 6
თანამედროვე რიტმები 7
პ. სულთანიშვილი (ლექსი) 8
ზ. კუხიანიძე — დარადუდა მოწამეთელის თავგადასავალი (მოთხრობა) 9
იალქანი 13
როგორი მამა გუყავს? (ტესტი) 15
ჩემი პირველი სურათებიანი ბიბლია 17
ვ. ბერიაშვილი — ძეძვის კონა (მოთხრობა) 22
ნ. ხარაზიშვილი — ქვაზე დადებული ერთი მადლის ამბავი (ნარკვევი) 25
ხურშუდი და კარაპეტი — ასირიული ზღაპარი 27
მ. ვაშაკიძე — არა მარტო შვიდი საოცრება 30
მხედრიონი 32

გარეკანის პირველ გვერდზე —
დავით მეტრონიძის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკი

ნინო ავალიანი

მიუხედავად დღეს ჩვენში არსებული მძიმე ვითარებისა, ცხოვრება თავისას მოითხოვს. ისევ დაგვიჩოქა კარზე ახალმა წელმა და ადამიანებმა გაიხსენეს, რომ დღესასწაულები ჯერ კიდევ არსებობს; რომ თბილისის ერთ უძველეს მოედანს ისევ გადმოჰყურებს ყველა ბავშვის სამყოფი სიხარულის დამტევი ეს პატარა სასახლე. დიახ, ცირკზე მოგახსენებთ, იმ მსუყე, ფერადოვან სანახაობაზე, ურომლისოდაც არც ერთი ყმაწვილისთვის ახალი წელი არ ახალწლობს.

დიახ, ძალოსანი აკრობატები, ღერძზე და თავისუფლად მდგომ კიბეზე მოვარჯიშენი, ცხოველთა მომთვინიერებლები, ორიგინალური ჟანრის ოსტატები, იგავმიუწვდომელი ცხენოსნები, საჰაერო ინტერკოსმოსი, მხიარული კლოუნადა, მახვილგონივრულობა და სიმამაცე, სიჯანსაღე და პლასტიკა, იუმორი და ფეიერვერკები...



თქვენს ბებიებსა და პაპებს, თქვენს დედიკოებსა და მამიკოებს ამ საოცარ შენობაში გატარებული უფრო მეტი ბედნიერი წუთი მოაგონდებათ. თბილისის სახელმწიფო ცირკის არსებობის ამ ოცდათოთხმეტი წლის გადასახედიდან განსაკუთრებით ბევრს ეუბნება თაყვანისმცემელთ ქართული ცირკის ოსტატთა დინასტიების — აღდგომელაშვილების, გოლიაძეების, მჭედლიშვილების, ნატროშვილების, ფერაძეების, ძმები გარსევანიშვილების მაღალი ხელოვნება. იმ დროის მაყურებელს დღემდე არ ავიწყდება ორიგინალური ჟანრის ოსტატი ალექსანდრე დადეშქელიანი და მისი ცნობილი სცენა რესტორანში, რესპუბლი-

დღესასწაული კიდევ არსებობს

კის სახალხო არტისტის ალექსი ცხოელიძის ონავარი ძაღლები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონის, საქართველოს აკრობატთა ნაკრების ყოფილი წევრის გურამ გარსევანიშვილის აკრობატული ოინები.

გასაოცარი იქნებოდა, რომ დღეს, როცა ასე უჭირს საქართველოს, თბილისის სახელმწიფო ცირკს დალხინებული ცხოვრება ჰქონოდა. აქ უსახსრობა ყველა პრობლემას ჰფარავს. ცირკს არ აქვს ფული ცხოველთა შესანახად, თხემით ტერფამდე ქართული საკუთარი პროგრამების ხორცშესასხმელად. ჩვენდა სავალალოდ, სხვა რესპუბლიკებში უხდებათ თავიანთი ოსტატობის ჩვენება ქართული ცხენოსნობის ამჟამინდელ ქომაგს იური ჩომახიძეს, თითქმის მთელი საქართველოს ფაუნის წარმომადგენლებთან მომუშავე ნიჭიერ მომთვინიერებელს თენგიზ სამხარაძეს. და მაინც, ქართული ცირკი კვლავ არსებობს: შარშან, გაზაფხულზე, თითქმის მთელი ოთხი თვის განმავლობაში საუცხოო ქართულ საცირკო პროგრამას წარმოუდგენდა მაყურებელს.



წლევანდელი შობა — ახალწლისთვის ძალიან იმარჯვეს: მეზობელი ხუვერენული რესპუბლიკების საცირკო ხელოვნების მშვენიერ ნაკრებ ახალგაზრდულ პროგრამას წარმოუდგენენ თავიანთ ერთგულ მაყურებელს. საჰაერო აკრობატიკა, მხიარული ჯამბაზები, საზრიანი ლომები, ვეფხვები, ბაჯბაჯა დათუნიები — ერთი სიტყვით, სულო და გულო, რას არ ნახავს საშობაო არდადეგებზე — ოცდაერთი დეკემბრიდან თორმეტ იანვრამდე — აქ მოსული პატარა მაყურებელი! თვრამეტი იანვრიდან ოც თებერვლამდე კი საცირკო ფეიერვერკების მოყვარულთ ახალი სანახაობა ელით. თბილისში საგასტროლოდ ჩამოვა გამოცდილი საცირკო კოლექტივი — ქალაქ როსტოვის ცირკი, რომელიც, თავის მხრივ, უთუოდ მრავალფეროვან სიურპრიზს შემოგვთავაზებს. ასე რომ, ჩვენო კარგებო, დროებით მაინც მოსწყდით ამ ჩვენს არცთუ გასახარ ყოველდღიურობას და გაიხსენეთ, რომ ჯერ კიდევ არსებობს ადამიანური ხელოვნების ისეთი სასწაული, როგორიც არის ცირკი და... იჩქარეთ თბილისის სახელმწიფო ცირკის პატარა, ამღერებული სასახლისაკენ. იგი კვლავაც შეეცდება, ხალისიანი მახპინძლობა გაგიწიოთ.



ᲣᲫᲕᲔᲚᲘᲡᲬᲐᲓᲘ ᲐᲮᲐᲚᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲠᲝᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

კალანდა. დამთავრდებოდა შობა და იწყებოდა ახალი წელი. დგებოდა კალანდა. ეს დღე იყო ძველი წლის გაცილების, მისი ავისა და კარგის შეფასების, ამასთან, ახლის შეხვედრის, სამომავლო ბედნიერებისა და სიხარულის მომნიჭებელი. იგი ყველას უნდა ეზეიმა — დიდსა და პატარას, უფროსსა და უმცროსს, ბატონსა და გლეხს, მეფესა და მრევლს.

გამოჩენილ ქართველ გეოგრაფსა და ისტორიკოსს, ვახუშტი ბაგრატიონს აღწერილი აქვს საქართველოს სამეფო კარის საახალწლო წესი: „ახალ წელს, ერთ იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკვლევდა მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა და სამკაულსა და სანუკვარსა შაქრისასა“.

სამეფო კარის მოხელეებს (მსახურთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი) შესაფერი საჩუქრები უნდა მიერთმიათ მეფისათვის, ხოლო ერისთავებს — ჯაგლაგა ცხენები. იცოდნენ ისრის მირთმევაც, რომლითაც შეაჩვენებდნენ მეფის ორგულთ: „მრავალჟამიერ ჰყოს ღმერთმა მეფობა თქენი მრავალ წელს და ისარი ესე გულთა შინა განერთხოს მეფობისა თქვენისა ორგულს“.

ერისთავების მირთმეულ ცხენებს დახოცავდნენ და შემოღობილ ადგილზე დატოვებდნენ, სადაც უამრავი მხეცი მოიყრიდა თავს, ხოლო დილით ამ მხეცებზე ინადირებდა მეფე.

ახალი წლის ზეიმთან მრავალი სიმბოლური საგანი და რელიგიური რწმენაა დაკავშირებული. ამ მხრივ გამორჩეულია განტოტებული საახალწლო ხის ჩიჩილაკის მორთვის წესი. ჩიჩილაკი, როგორც სიცოცხლის ხის სიმბოლიკა, ნაყოფიერებისა და ბედნიერების ხის განსახიერებაა. როგორი იყო იგი?

განსაკუთრებით ლამაზ ჩიჩილაკს გურიასა და სამეგრელოში აკეთებდნენ. სამეგრელოში მას ოჯახის უფროსი — მოხუცი ამზადებდა. საამისოდ თხილის მსხვილ ჯოხს აიღებდა. ჯერ ცეცხლზე გაახურებდა, რომ მოდრეკილიყო, კანს გააცლიდა და დანით ბოლოდან წვერისაკენ ჩალას დაუწყებდა. ბურბუშელებს ნა თანდათან უწყვეტად ... ზემოთ იკეცებოდა. მერე მათ ღერძზე გადმოფენდა, რის შედეგადაც ჩიჩილაკს ხის ფორმა ეძლეოდა. შემდეგ ჩიჩილაკს საყრდენს გაუკეთებდა. წვერზე კი, რომელსაც დანით ჩაჭრიდა ან ჯვარედინად ჩაჩეხავდა, ჯვრის ფორმის ჯოხა ჩაუმაგრებდა. ამ უკანასკნელს წვეროებზე ოჯახის წევრები ვაშლებს ან ბოროწეულებს ჩამოაცმევდნენ. ჩიჩილაკს კი სხვადასხვა სამკაულებით, ფერად-ფერადი ძაფებით, ხილით, ჩურჩხელებით, კანფეტებით მორთავდნენ, ვერცხლის ფულებს ჩამოჰკიდებდნენ.

გურიაში ტრადიციული იყო კალპიანი (რგოლიანი) ჩიჩილაკი. კალპს, რომელსაც მარადმწვანე სუროსაგან და წითელმარცვლიანი კურკანტელის ლერწისაგან წნავდნენ, გვირგვინივით ადგამდნენ ჩიჩილაკს. კალპზე კი ყველითა და კვერებით შეზავებულ გულჩაღრმავებულ კვერს — „ბოკელს“ დაადებდნენ, რომელზეც ჯვარს აღმართავდნენ.

რაჭაში კალპის მაგივრად ვაზის ლერწისაგან „გვირგვინის“ მოწვნა იცოდნენ, რომელზეც სამეკვლეო ნობათი (მოხარშული ქათამი, ღორის თავი, ხაჭაპურები, ჩურჩხელები, ტკბილი კვერი და სხვა საგნები) ეწყო. ამ ნობათით ოჯახის უფროსი თავისიანებს ახალ წელს მიულოცავდა — მიუკვლევდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ასეთ მისალოცს საკვლევარი, სამეკვლეო და მისაკვლევები ჰქვია. ქართლში კი ეს ტერმინი დროთა განმავლობაში „აბრამიანმა“ შეცვალა. აქ საახალწლოდ და „აბრამიანზე“ დასაწყობად აცხობდნენ „ბასილას“ (ადამიანის ფორმის ნამცხვარს) და სხვადასხვა სახელწოდების ბედის კვერებს (ცრუხ-წიწილას, ხარის რქას, ძროხის ძუძუ.

დასასრული. იხ. „ნაკადული“ № 11-12, 1991 წ.

ელელს, ქათმის კლანჭს, მზისა და მთვარის გამოსახულებას), რომელთაც შემდეგ ბავშვებს დაურიგებდნენ.

სვანეთში ყველიანი ჰურების გამოცხობა იცოდნენ. ამათაგან ერთი ყველაზე დიდი ზომისა იყო, რომელსაც შუაში ჯვარი ჰქონდა გამოსახული. მოიმარაგებდნენ თაფლს, ყველს, ხორცს, სხვა პროდუქტებს და მათ გიდელში ჩააწყობდნენ. გიდელს კარებთან დაკიდებდნენ, რომ მეკვლეს მზად დახვედროდა. როგორც კი ირიყრაყებდა, ოჯახის უფროსი (კაცი) ადგებოდა და სულის შებერვით მინავლულ ცეცხლს გააღვივებდა. მერე დიასახლისს და ოჯახის იმ წევრს გააღვიძებდა, რომელიც ყველაზე კეთილი იყო, საქონელს ბაწარს გამოაბამდა და წინ გაიძღოლებდა. დედაკაცს ხორაგიან გიდელს აჰკიდებდა. ვიდრე შინ არ დაბრუნდებოდნენ, ერთმანეთს არ დაელაპარაკებოდნენ. წყალთან მივიდოდნენ, ხარს დაარწყულებდნენ. უკან მობრუნებულები კალოზე შეჩერდებოდნენ, ოთვლის ზვინს დადგამდნენ, შუაში ნაძვის ხეს ჩაურჭობდნენ. შემობრუნდებოდნენ და სახლის კარებთან გაჩერდებოდნენ. ოჯახის უფროსი დააბრახუნებდა: „ყორ მუკიარ!" — კარი გამიღეთო. „ღერ თემიში იხელწიფი ჟორ ამღვე ყორ მუკიარ!" — ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს, კარი გააღეთო. გაუღებენ. შეელენ, დასხდებიან. მაკვლიელი აიღებს ხელში დიდ ჯვარიან პურს, დააწყობს ზედ ყველს, ხორცს, თაფლს, ბერცხლის ფულს, ჩამოუვლის ყველას და მიულოცავს. მერე სოფელს დაუვლიან — მეზობლებს მიულოცავენ. მონადირე ნიშანს დადგამს, ესვრის თოფს და, თუ მიზანში მოახვედრა, ბედნიერი წლის დასაწყისად მიიჩნევენ.



სამეგრელოში ახალი წლიერ ... დღეს „ფერხობა" (ფერ... ჰქვია. თითოეულ ოჯახში ირჩევენ მეფეხურს, ფეხბედნიერ კაცს, რომელიც სხვაგან უნდა დაწვეს, ალიონზე წამოდგეს, თავისას მოვიდეს და ყველას მიულოცოს, ყოველი ავი და კარგი, რაც რომ იმ წელს მოხდება ოჯახში, მეფეხურზე იქნება დამოკიდებული.

გურიაში ფერხობას მეკვლეობა ჰქვია. მეკვლედ შეარჩევენ კეთილ, გამოცდილ კაცს, რომელმაც ახალი წლის გადასალოცი, სამჯობინარი უნდა იცოდეს. აქ სიტყვით გადალოცვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. მასში შედის ეგუნას გადაძახილი და მეფერხის ლოცვა. მოვიტანთ ერთ მათგანს:

„შემოვდგი ფეხი, გილოცავთ,
გწყალობდეს წმინდა ბასილი,
იმისი მადლით იუავით
პურით და ღვინით ავსილი.
ჩვენს ნაფეხურსა კვალი ჩნდეს,
სიწმინდე ანგელოზისა,
ისა გლოცავდეთ, გფარავდეთ,
უფლის მარჯვენით რომ ზისა,
გულზე ხატმისვენებული.
მოვდივართ, მოგვიხარია"., და ა. შ.

ასეთია მოკლედ საახალწლო ციკლში შემავალი წეს-ჩვეულებები, ოღონ მათ ვუკვირდები, მეჩვენება, რომ ამ ძველ, დიდებულ, ლამაზ ტრადიციას დავიწყება არ უწერია. იგი ჩვენი წარსულის, ჩვენი კულტურის მონაპოვარია. ამ ტრადიციაში რწმენაც არის ჩადებული, პატიოსნებაც, მომავლის იმედიც და ღვთის მადლის დაფასებაც. უნდა გვჯეროდეს, რომ სიკეთე სიკეთეს წარმოშობს, სათნოება — სათნოებას და სიყვარული — სიყვარულს, შრომა —ხვავსა და ბარაქას, დოვლათსა და სიუხვეს.

გიორგი გოცირიძე,
ეთნოგრაფი

თოჯინების თეატრში

ცით, რომელ თეატრს ჰყავს ჩვენში ყველაზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი?

— თოჯინებისას.

— ყველაზე ერთგული?

— თოჯინებისას.

— ყველაზე უშუალო?

— თოჯინებისას.

— ყველაზე მადლიერი?

— ისევ და ისევ თოჯინებისას.

— გინდათ, იცოდეთ, რატომ?

— დაესწარით თოჯინების თეატრის ერთ წარმოდგენას მაინც, თვალი გაადევნეთ დარბაზს, მაყურებლის რეაქციას და უმალ მიხვდებით, რატომაც.

ერთნაირად სულგანაბულები და თვალებგაფართოებულები ადევნებენ თვალს წითელქუდას, კომბლეს, ალადინის თუ ეთერის თავგადასავალს, ერთნაირი ბუნებრივი უშუალობით

თოჯინების შემქმნელთ თავიანთ ელოვნების საუკეთესო ნაშედევრებად მადლიერების საუკეთესო გამოხატულებად. ეს სიხარული, სიცილი და ცრემლები ავიწყებენ თითოეულ მათგანს დაღლილობასაც და თუნდაც ერთგვარ გულნაკლულობასაც, რომელიც იმით არის მოგვრილი, რომ მეთოჯინეები, ასე თუ ისე, მაინც უჩინარნი რჩებიან მაყურებლებისათვის. ჯაფა კი მართლა გვარიანი ადგათ თოჯინების თეატრში მომუშავე შემოქმედთ და, რაღა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მსახიობებს. მარტო ის რად ღირს, რომ ისინი, ხელიმართულნი, ყოველდღე საათობით ათამაშებენ-ამღერებენ, აცეკვებენ, ალაპარაკებენ, არბენინებენ თოჯინებს. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ აქ დღეში ორ-ორი და სამ-სამი სპექტაკლი იმართება, ეჭვი არ შეგვეპარება, რომ

რეაგირებენ მელაკუდას ხრიკებსა თუ ნაცარქექიას ოინებზე თავისი დაუდგრომლობითა და ანცობით ცნობილი ბიჭებიც და ყველაზე თავშეკავებული, გულჩათხრობილი გოგონებიც. და აი, სწორედ ამ გოგო-ბიჭებინ გულწრფელი სიხარული, სიცილი თუ ცრემლები მიაჩნიათ აქაურ რეჟისორებს, მსახიობებს, მხატვრებსა თუ

მხოლოდ თავიანთი ხელოვნებისა და ამ ხელოვნების მაყურებლის დიდი სიყვარული და ერთგულება ამოძრავებს თოჯინების თეატრის ყველა წევრს — ძველი თაობის წარმომადგენლებსაც — ეთერ ცქიტიშვილს, თეატრის დაარსების დღიდან რომ მუშაობს აქ, ცაცა პეტრიაშვილს, შოთა ცუცქირიძეს, ჯიმშერ მაჭარა-

ძეს და ახალგაზრდებსაც — ზეინაბ წულუკიძეს, მაგული ტყეშელაშვილს, მარგარიტა მიქელაძეს და სხვებს. იყო პერიოდი, როცა თეატრს პროფესიონალები შემოაკლდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თეატრალურმა ინსტიტუტმა ამ განხრით მომზადებული ახალგაზრდები გამოუშვა, ხარვეზი ერთგვარად ამოივსო. მსახიობებთან ერთად თეატრში ახალგაზრდა რეჟისორებიც მოვიდნენ — მაია ლორთქიფანიძე, ნინო სარჩიმელიძე. ახალგაზრდა შევსებას თეატრი მომავალშიც ელის და იმის იმედიც აქვს, რომ ახალგაზრდა მწერლები თუ დრამატურგებიც უფრო მეტ ინტერესს გამოიჩენენ თოჯინების თეატრისადმი და ხელს შეუწყობენ რეპერტუარის გამრავალფეროვნებას.

შემოქმედებითი ჩანაფიქრი ბევრი აქვს თოჯინების თეატრის კოლექტივს (დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი — ვახტანგ მაღლაფერიძე, მთავარი რეჟისორი — გივი სარჩიმელიძე, მთავარი მხატვარი — გიორგი აბაკელია). მაგრამ ზოგიერთი საკითხის მოუგვარებლად მათი განხორციელება ნამდვილად გაჭირდება. თეატრში მიაჩნიათ, რომ აუცილებელია, მომავალში მათვე მიეცეთ ბანკის ანგარიშიდან საჭირო თანხის გამოტანის უფლება, გადარიცხვით, განსაკუთრებით დღეს, ვერც თოჯინების დასამზადებლად აუცილებელ მასალას შეიძენ და ვერც საჭირო რეკვიზიტს იშოვნი, საქმისთვის ისიც უკეთესია, რომ ყველაფერმა ერთ ხელში მოიყაროს თავი. ცხადია, ყოველივე ეს დიდების გადასაწყვეტია და იმედია, პატარებზე ფიქრი დადებითად გადააწყვეტინებს მათ ამ საკითხებსაც და ბევრ სხვასაც.

მ. ზაალიშვილი

სანდრა

გერმანელი მომღერალი სანდრა ლაუერი დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საესტრადო ვარსკვლავია. აუხდა ბავშვობის ოცნება. უფრო სწორად --თავად აიხდინა ეს ოცნება — ბევრს და გულმოდგინედ მუშაობდა, ბალეტის წრეშიც დადიოდა, გიტარაზე დაკვრასაც სწავლობდა. თორმეტი წლისამ მონაწილეობა მიიღო ნიჭიერი ბავშვების კონკურსში და მოწონებაც დაიმსახურა. პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა გოგონას და რამდენიმე წელიწადში მიკაელა როუზთან და ჟასმინ ვეტერთან ერთად მან ჩამოაყალიბა ტრიო „არაბესკა", რომელიც ოთხმოციანი წლების დამდეგს ერთობ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1988 წელს დაიწყო სანდრას სოლო კარიერა. კომპოზიტორ და პროდიუსერ მიკაელ კრეტუსთან თანამშრომლობით ჩაწერა მომღერალმა თავისი პირველი სოლო შლიაგერი „მარია მაგდალენა" და ერთბაშად დაიკავა წამყვანი ადგილი ევროპის მრავალი ქვეყნის ჰით-პარადებში. ამას სანდრას პირველი დისკ-გიგანტი „ლონგ-პლეი" მოჰყვა, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვა მას სახელი. შემდგომ გამოვიდა გერმანელი მომღერლის სუპერალბომი „სარკეები" (1986). მალე იგი ცოლად გაჰყვა მიქაელ კრეტუს. საქორწინო ცერემონია ესპანეთის ეგზოტიკურ კუნძულ იბიცაზე გაიმართა. სწორედ აქ, ვერტმფრენით ფრენისას, ახალდაქორწინებულთ უმნიშვნელო ავარია შეემთხვათ, რაც სანდრასა და მისი ქმრის დალუპვის შესახებ ხმების გავრცელების საბაბი გახდა. სინამდვილეში კი მათ სერიოზული არაფერი დამართნიათ.

მშვენიერი თაფლისფერი თვალები, საუცხოო წაბლისფერი თმა, ნაზი ლიმილი, რა თქმა უნდა, ჩინებული ხმა და შრომა, შრომა, შრომა — აი, ასეთია 30 წლის გერმანელი მომღერლის, სანდრა ლაუერის წარმატების რეცეპტი.

თანამედროვე

პაატა სულთანიშვილი ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგული ძაღლისა და მგლის ამბავი

გათოშილი ტყე-მინდორი
სიცივისგან გმინავს.
— აუუ! — ზეცას
რომ შეჰყმუის,
ეს ვინ არის, ვინა?
მწყემსი ბიჭის კარავს მგელი
ირგვლივ ფრთხილად უვლის.
სადღაც ძაღლის ყეფა ესმის,
შიშით უთრთის გული.
მუხლში ძალაგამოლეულს
ცხვრის სუნი სცემს თითქოს.
„ალბათ, აქვე ფარეხია —
სიმშვიდე და სითბო".
ახლა ერთი სული აქვს, რომ
იმ ფარეხში შეძვრეს.
ნერწყვმომდგარი ეფარება
ბუჩქებსა და ძეძვებს.
როგორც იქნა, ზოზინ-ზოზინ
ფარეხის წინ შედგა...
უცებ ძაღლი გადმოუდგა,
შეუყეფა მედგრად.
— ჰამ, ჰამ! შესდექ,
აქ რა გინდა,
შე ყაჩაღო, შენა! —
თვალებიდან
ნაკვერცხლებს ჰყრის,
— უხ, ჩაგვარდეს ენა!
— ეს ყოფილა ეს თავხედი,
საშველს აღარ მომცემს...
კვლავ აყმუვლდა:
— აუუ! აუუ!
უხმო თანამოძმეთ.
შორს გაისმა მგლების ხმა და
ძალა იგრძნო მგელმაც
და კბილებმა ხანჯლებივით
თეთრად გაიელვა.
— აუ! აუ! ნუ მიბღვერი,
რა მაქვს საყაჩაღო?!
შინ მშიერი ლეკვები მყავს,
გზა მომეცი, ძაღლო!
სიავისგან ჭკუა სულმთლად
დაგკარგვია, გატყობ...
უკან მგლების ხროვა მომდევს.
არ გეგონო მარტო!
მაგრამ ძაღლი რის ძაღლია,
მგლის მუქარით შედრკეს!
— ჰამ, ჰამ! უკან გასწი, თორემ
დაგიობლებ ლეკვებს!
სათარეშოდ ტყე არ გეყოფინის?
რას დაძრწიხარ სოფლად?!
ბოროტსა და ავაზაკებს
გეტირებათ ყოფა!..
— უთვისტომო რად გგონივარ,
მეგობრები შეც მყავს.
— ჰამ! — უეცრად
შეხტა ძაღლი,
მგელს ქეჩოში ეცა...
და ის იყო, დაანარცხა
გადათოვლილ ლოდებს,
რომ ფარეხთან დამშეული
იმ მგლის ძმები მოდგნენ.
ძაღლი უცებ გაირინდა
და მსხვერპლს კბილი უშვა,
გულში ავმა გრძნობამ გაჰკრა,
შეკრთა, შეიშმუშნა...
სამი მგელი, სამი რისხვა
აყმუილდა ერთხმად
და უფროსი ძმის დამჯაბნელს
ირგვლივ შემოერტყა.
„ახლა გვერდით თოფიანი
მწყემსი მყავდეს, რად ღირს!" —
ფიქრობს და თან კვლავ საომრად
ემზადება ძაღლი.
იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში
მძიმე წამი დგება,
მარტომ უნდა დააოკოს
მტრების შურისგება.
ერთხელ კიდევ შეჰყეფა და
სუყველაზე უფროსს —
მგელს, საძმოში გამორჩეულს,
საბრძოლველად უხმო...
მაგრამ, ნურას უკაცრავად,
არ მოტყუვდნენ მგლები —
უკვე ნახეს მაგალითი
ერთზე ერთის შებმის.
ძაღლის ქცევამ სამივენი
ისე გააკვირვა,
ერთი კუდზე, ერთი — ყურზე,
ერთიც ზურგზე ეცა...
ყეფა-ღრენის და ყმუილის
ხმა ქარს მიაქვს გალმით...
ცეცხლმოდებულ გორგალივით
ხტის და ბრუნავს ძაღლი,
ხან ერთს გაჰკრავს, ხან მეორეს
ბრჭყალებსა და კბილებს,
სისხლი სდის და მორჩილებას
მაინც არ აპირებს.
ხორცს აგლეჯენ და საშინელ
ტკივილს ძლივსღა უძლებს,
ჰა, საცაა, წაიქცევა...
მაგრამ აი, უცებ
— ჭახ! ჭახ! — ელვამ დაიქუხა,
თითქოს იძრა მიწა.
— ჭახ! ჭახ! — ისევ განმეორდა
და როდესაც მიწუდა,
ძაღლმა თვალი გაახილა
წკავწკავით და ხვნეშით:
წინ პატრონი, მწყემსი ბიჭი
ედგა თოფით ხელში...
ოთხი მგელი, ოთხი რისხვა
აქეთ-იქით ეგდო.
დაჭღუოდა მზე ვარდისფრად
გადათოვლილ ფერდობს.

ილუსტრაციები ზაურ დეისაძე

დარადუდა მოწამეთელი თვალადსავალი

ზერაბ კუხიანიძე

მხატვარი
კარლო ფაჩულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუდას მეასე აკვანი

ბროლისქედი, ანუ, როგორც იქაურები ეძახიან — ბროლიქედი ლამაზი და დიდი სოფელია. ერთი პატარა მთის მდინარე ჩაუდის, ისეთი სუფთა, ადუდამ შიგ რომ ჩაიხედა, დაწინწკლულ კალმახებს მოჰკრა თვალი.

სოფელში შევიდნენ და გაუკვირდათ: კაცის ჭაჭანება არ იყო.

ერთი მოხუცებული კაცი დაინახეს. ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა. მათ რომ გაუსწორდა, „კაი გამარჯობაო!“ — შესძახა და გზა განაგრძო.

— ბაბუა, — დაედევნა ადუდა. — ცოტა ხანს შეჩერდი, რაღაც უნდა გკითხოთ!

მოხუცი შეჩერდა, შემობრუნდა, ხელით თვალები მოიჩრდილა:

— რომელი ხარ შენ, ვერ გიცანი?

— მე ადუდა ვარ, დარადუდას ვაუი!

— ლაპარაკზე გატყობ, ბროლიქედელი არ უნდა იყოთ.

— არა, ჩვენ მოწამეთლები ვართ.

— აგაშენათ ღმერთმა! სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ახლა სოფელში არავინაა. წამოდით, სადაც მე მივდივარ და მერე ჩვენ ვიცით და ჩვენმა მასპინძლობამ.

რას იზამდნენ, უკან მიჰყვნენ მოხუცს.

— სოფლის კლუბში მივიჩქარი, — თქვა მოხუცმა. — რაღაც საუბედუროდ ჩამძინებია და რომ გამეღვიძა, გულზე შემომეყარა — არიქა, დავიგვიანე-მეთქი.

— ცირკი ხომ არ ჩამოსულა ბროლისქედში? — იკითხა ადუდამ.

— რა დროს ცირკია, ბაბაია! — წარბები შეკრა მოხუცმა. — ბროლისქედში დღეს დიდი ზეიმია, დიი-დი!

— რას ზეიმობთ ბროლისქედელები? — იკითხა დარადუდამ.

— დუდას მეასე აკვანს! — ამაყად თქვა მოხუცმა.

— ეს როგორაო? — გაუკვირდა ადუდას.

— როგორ, ბაბულია და, გუშინ დუდამ მეასე აკვანი გააკეთა... სოფელს ისე გაუხარდა, ერთხმად გადაწყვიტეს, საზეიმოდ აღენიშნათ ეს ამბავი.

— ეს რა კარგ დროს მოვსულვართ! — გაუხარდა ადუდას.

— ყოჩაღ, ძმაო დუდა! — წამოიძახა დარადუდამ.

— რაო! — შეხტა მოხუცი.

— დუდა ჩემი ძმაა!

— იმე, აქამდე ვერ თქვი, შე კაი დედ-მამიშვილო? მოყვრები ვყოფილვართ და ისაა! დუდა ჩემი ერთი შვილიშვილის ნათლიაა. არიქა, ფეხს აუჩქარეთ!

კლუბის დარბაზში ნემსი რომ ჩაგეგდოთ, არ ჩაეტეოდა.

დარადუდასა და ადუდას ხელად დაუთმეს ადგილები.

საზეიმოდ მორთულ სცენაზე მაგიდას ორი ჭაღარა კაცი, რამდენიმე ახალგაზრდა და ერთიც ცქრიალა პატარა ბიჭი შემოსხდომოდნენ. შუაში სახეგაბადრული აკვნების ოსტატი იჯდა. მაგიდის წინ ფერადი ბაფთებით მორთული და ყვავილებით სავსე მეასე აკვანი იდგა.

— ეს ასი და სხვა ათასი! — დაიწყო თავისი სიტყვა ზეიმის წამყვანმა. — ღმერთმა გაგვიმრავლოს აკვნები ბროლისქედსა და მთელ საქართველოში!..

ერთმა ქართველების გამრავლებაზე ილაპარაკა, საერთო გულისტკივილი გამოთქვა. საქმე კარგად ვერ მიდისო.

მეორემ დუდა შეაქო, მარჯვენა დაულოცა, მეასე აკვანი მიულოცა და დღეგრძელობა უსურვა.

თვალებგაბრწყინებული დარადუდა და ადუდა სიხარულს ვერ მალავდნენ და ხელისგულები დაუწითლდათ ტაშისცემით.

მეასე აკვნის დღესასწაული სუფრაზე გაგრძელდა.

პირველი ის ადღეგრძელეს, ვისაც მეასე აკვანში მოუხდებოდა ჩაწოლა.

მეორე სადღეგრძელო აკვნების ოსტატისა შეისვა.

მესამე — საქართველოს სადღეგრძელო რომ იქნებოდა, თქვენც კარგად იცით. ერთი სიტყვით, მთელი ღამე იქეიფეს და მოილხინეს.

დილით დარადუდამ კლუბში ზეიმის წამყვანის სიტყვები გაიმეორა:

— ეს ასი და სხვა ათასი, ძმაო დუდა. ღმერთმა გაგიმრავლოს აკვნები ბროლისქედში და მთელ საქართველოშიო.

იქიდან სოფელ საწისქვილოსკენ გასწიეს, სადაც მეათე ძმა, დურადა მეწისქვილე ცხოვრობდა.

დევები დურადას წისქვილში

ჭალაში ჩადგმული დურადას პატარა წისქვილის ხმაური შორიდან მოესმათ.

— ეს რა ძვირფასი სტუმრები მეწვიაო! — გაუხარდა დურადას.

წისქვილში ერთი კაცი ფქვილით სავსე ტომრებს თავს უკრავდა.

— ეს ორი ვაჟკაცი ჩემდა იღბლად მოსულანო! — თქვა იმ კაცმა. — ეს ორი ტომარა ურემზე დამადებინეთო.

დარადუდა მოხუცთან მივიდა, ტომრები იქით-აქეთ მუთაქებივით ამოიღლიავა, გარეთ გაიტანა და ურემზე დააწყო.

მოხუც მესაფქვავეს თვალები გაუბრწყინდა:

— შენ თუ დარადუდა მოწამეთელი არ იქნები, წვერ-ულვაშს გავიპარსავო!

— როგორ მიხვდიო? — გაეცინა დარადუდას.

— ტომრების აწევაზეო, — თქვა მოხუცმა. — დარადუდა მოწამეთელის გარდა ამას ვინ შესძლებდაო!

დურადამ ღვინით სავსე დოქი გააჩინა.

ივახშმეს და ადუდამ თქვა:

— ძია დურადა, ერთი ზღაპარიც მოგვიყევიო.

— კარგიო, — გაიღიმა მეწისქვილემ. — იმას მოგი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნაკადული“ № 11-12.

ყვებით. რაც ერთი თვის წინ შემემთხვა წისქვილში, ეს ამბავი არც ერთ ზღაპარს ტოლს არ დაუდებსო. ერთი თვის წინ, კარგა ხნის დაღამებული იქნებოდა, გარედან ღრიალი შემომესმა. ასე გვიან ვინ უნდა იყოს? — ვიფიქრე. — ალბათ უაჩაღები თუ დამესხნენ თავს-მეთქი და ხელი სასთუმალქვეშ ამოდებული ნაჯახისკენ გავაპარე. უცებ კარი შემოამტვრიეს და თავზარი დამეცა. წისქვილში ორი უზარმაზარი დევი შემოვარდა. თვალებიდან ცეცხლს აკვესებდნენ, ყვითელი ღოჯები გადმოეყარათ და ლაშებზე ქაფი მოსდგომოდათ.

— დევები ჩვენს დროშიც არიან? — იკითხა ადუდამ.

— არიან. შვილო, არიან, — თქვა დარადუდამ. — დევებიც არიან, ჭინკებიც და ეშმაკებიც. ოღონდ წისქვილებში იშვიათად მოუცდებათ ფეხი, მათ მაღაზიებში, საწყობებში, კაბინეტებში შეხვდებით. „ვოლგებით", „ფიატებით" დასეირნობენ. რეაქტიული თვითმფრინავებით მიმოფრინავენ, გემებით დაცურავენ...

— კარგი, დარადუდა. გეყოფა, ადუდა ჯერ კიდევ ბავშვია, მაგდაგვარი დევებითა და ჭინკებით ნუ გამოუტენი თავს, — შეაწყვეტინა დურადამ.

— არა, ძმაო, აქედანვე უნდა იცოდეს კარგისა და ავის გარჩევა, თორემ რომ დავაუკაცდება. მერე მათ წინააღმდეგ ველარ იომებს.

— ჰო, სწორი ხარ, მაგრამ ჩემი ამბავი მომაყოლე.

— განაგრძე, ისე კარგად ყვები, ძილზე ვიღა იფიქრებს...

— დევების დანახვაზე, — გააგრძელა დურადამ, — გული გადამიქანდა და ნაჯახზე ხელი შემაცივდა. „ნაჯახით კი არა, გიორგი საკაძის ხმლით ვერ მოვერევი ამ წყეულებს". — ვიფიქრე და სუნთქვა შევწყვიტე, თავი მოვიმკვდარუნე.

— კაცის სუნი მცემს! — დაიბობღინა ერთმა.

— დურადას მეტი ვინ იქნებაო. — უთხრა მეორემ, თან დაუმატა: — ერთი შენც, მოგცლია. ჯიბეგამოფხეკილი მეწისქვილე კაცად თუ მიგაჩნია, დევი კი არა, ქეციანი ჭინკა ყოფილხარო.

— აბა, აბა, ენას მოუკელი! — შეუტია პირველმა. — ჯიბეგამოფხეკილია თუ ჯიბესქელი, ჯერ ეგ შევსანლოთ და მერე ეს სავსე ტომრები მოვიკიდოთ ზურგზეო.

— არ გვინდა, გარდაფხან. — ურჩია მეორემ, — მისი სუნთქვა არ ისმის, მგონი ჩვენი ჭირი წაუღია და მკვდარი კაცის შეჭმა ცოდვად ჩაგვეთვლებაო.

— „მგონი" არ ვიცი მე, — ჩაიბობღინა გარდაფხანმა. — მიდი და დააყურე! გირჩევ, ახლოს ნუ მიხვალ, ჩათაფხან. ალესილი ნაჯახი არ ჰქონდეს თავქვეშ. ხომ იცი, მაგის ერთი ძმა, დარადადა, მჭედელია და მისი გამოჭედილი ნაჯახი შენს თავს კი არა. კლდეს გააპობს.

ჩათაფხანი მომიახლოვდა. ვიფიქრე, წამოვხტები და დარადადას ნაჩუქარ ნაჯახს თავში ვხეთქავ. მაგრამ შიგ რომ გაეჭედოს და ვერ ამოვაძრო, მეორე დევს უიარაღოდ ვერ გავუმკლავდები-მეთქი და ისევ შევწყვიტე სუნთქვა.

— ხომ ვთქვი, მომკვდარა! — დაიბობღინა ჩათაფხანმა.

— ძაღლი მიაკვდა სულშიო! — დაიღრინა გარდაფხანმა. — ნეტავ დარადუდაც მიეწეოდესო.

— აბა, ტომრებს ვეცეთო! — გაიჯღანა ჩათაფხანი.

ჩათაფხანი მომიახლოვდა. ვიფიქრე, წამოვხტები და ხახაში გადაუძახა.

— მე ფქვილი მირჩევნია. — გაიღრიჯა გარდაფხანი; არ დამებნესო და, თავის ტომრიანად გადასახსნელა.

— მაინც მშიაო! — თქვა ჩათაფხანმა.

— თითო ტომარა კიდევ მივირთვათ, დანარჩენები ზურგზე მოვიკიდოთ და მოვუსვათო! — ურჩია გარდაფხანმა და ის იყო, ტომრები ჩაავლეს ტომრებს, რომ ვიღაცის გულადი ხმა გაისმა:

— ხელი გაუშვით ტომრებს, თქვე დოლბანდებო!

თვალი გავაპარე და ჩოხა-ახალუხში გამოწკეპილი ჩვენი ყურშა დავინახე. რომელიც ლეკურს ატრიალებდა და დევებისკენ მიიწევდა.

— ეს კურკანტელა ვიღა არისო? — იკითხა ჩათაფხანმა.

— რა ვიცი. — გაიკვირვა გარდაფხანმა. — რომ ჩავისუნთქო. ერთი გამოხრული კბილი მაქვს და იქ რომ გამეჩხიროს. გემოსაც ვერ ჩავატანო.

— ტომრებს არ შეეხოთ-მეთქი! — ხმას აუწია ყურშამ. — თქვე უაჩაღებო. გინდათ. სოფელი მშიერი დაქოვოთ? ოფლითა და შრომით მოწეულ სარჩოს თქვენს მყრალ მუცლებში უნდა გადაუძახოთ?

— როცა გვშია, სოფელი და ხალხი ფეხებზე გვკიდიაო! — დაიღრიალა ჩათაფხანმა.

— მშიერი. დევი იქნება თუ თაგვი, კაცი თუ ჩიტი. ყველა ცოდვაა! — თქვა ყურშამ .— მაგრამ ხელი უნდა გაანძრიოთ. უნდა დახნათ. დათესოთ, მოსავალი მოიყვანოთ და შრომით მოპოვებულით ირჩინოთ თავი.

— სად გაგონილა. დევს დაეხნას და დაეთესოს! — გაუკვირდა გარდაფხანს.

— გიჟია ეს ოხერი. ვიღაცაა! — დაიღრიალა ჩათაფხანმა. — გული აქვს ქვეყნისოდენა და ღონე წიწილისოდენა.

— აბა, ვინც არ შრომობს, ის არ ჭამს! — მოუკრა ყურშამ და ლეკური მოიქნია. — თუ არ გამიგონებთ. ისე გაგხდით. რომ კარი კედელი გეგონოთ და ვირი — მჭედელი!

— ერთი შენი თავი კარგად დაგვანახე. — თქვა გარდაფხანმა, — ჩაგისუნთქო და გაგაჭრო. ოხ. ის კბილი მაინც არ მქონდეს გამოხრული. გატყობ. იმნაირი მამაძაღლი ხარ. სწორედ იქ გამეჩხირები.

— ვერც შემისუნთქავ და არც კბილში გაგეჩხირებაშე ყიამყრალო! — შეუტია ყურშამ. — ამ ლეკურით გამოხრულსაც და საღსაც ყველას დაგაძრობ.

გარდაფხანი, ცოტა არ იყოს, შედრკა:

— ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ უკბილო დევი ოცდაოთხ საათში სულს გააფრთხობსო.

— გვშია. ბატონიშვილო! — შეაცოდა თავი ჩათაფხანმა.

— თუ გშიათ. მაგ ტომრებს შეეშვით და. ჯანდაბას თქვენი თავი, აგერ უზარმაზარი ლობიანი პური დევს და ის ჩაცეცხლეთო.

— ლობიანი პურიო! არ დავიწუნებთო! — პირი გაუწკლაპუნა გარდაფხანმა.

— სად დევსო? — იკითხა ჩათაფხანმა.

— აგერ, წისქვილის კუთხეშიო! — და ყურშამ ლეკური მოცვეთილი, ძველი დოლაბისკენ გაიშვირა.

დევები დოლაბს ეცნენ, აიტაცეს და კბილებით ჩააფრინდნენ.

უცებ ორივემ ერთად დაიღრიალა:

— ვაი, კბილებიო!

დოლაბი გადააგდეს.

— ვაი, ფეხიო! — აყვირდა ჩათაფხანი.

ღრიალებდნენ, ბღაოდნენ და მათი დალეწილი კბილები რიყის ქვებივით ცვიოდა იატაკზე.

მერე ჩათაფხანმა დოლაბს დაავლო ტორები და ყურშას ესროლა. ყურშა განზე გახტა.

ახლა გარდაფხანმა სიმინდით სავსე ტომარა ესროლა. ყურშამ ისიც აიცდინა.

— გარდაფხან, დავლეწოთ აქაურობა და სადღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისრისება მაგ ჩვენი დამაჭცევარი. აბა რა იქნება! — დაილრიალა ჩათაფხანმა.

— დავლეწოთ! — დაიყვირა გარდაფხანმა და ხვიმირას ეცა.

— შესდექით, თქვე ყაჩაღებო! — შეჰყეფა ყურშამ. — დღეს ნაშუადღევს ჩიტმა მომიტანა ამბავი, დარადუდა მოწამეთელს უთქვამს, ის ამყრალებული დევები კიდევ დაპარპაშებენ სოფელ საწისქვილოშიო? და აქეთ წამოსულა.

— დარადუდა?! — ილრიალა გარდაფხანმა და ხვიმირას ტორები უშვა.

— დარადუდა მოწამეთელიო?!. — თავში ტორი შემოირტყა ჩათაფხანმა.

— დარადუდას ადუდაც წამოჰყოლიაო.

— არიქა. არ მოგვასწროონო! — იყვირა გარდაფხანმა.

— კბილებს ვიღა დაეძებს, თავებს წაგვაცლიანო! — ამოიხრიალა ჩათაფხანმა და დევებმა ერთმანეთს გაასწრეს წისქვილიდან.

— აგაშენა ღმერთმა! — გაუბარდა ადუს. — მეგონა. რაღაც სენმა თუ დაგრია ბელი და გულს შემოუყარა, ძმაო. მაგის წამალი ჩვენ თვითონ ვართ. მაპატიე, ბო იცი სოფლის ექიმის ამბავი, ხან იქ მეძახიან და ხან — აქ. სოფელს ჩემი იმედი აქვს, სოფლის ჭირს კი ასი ხარი და ურემი ვერ ზიდავსო. — დადუმ ჭიშკრისკენ გაიხედა. — აი, აგერ. ვიღაც მომადგა, ან ავადმყოფი იქნება. ან მისი პატრონი.

უზომოდ მსუქანი კაცი იყო. წინ მუცელი მოუძღოდა და უკან მწევარი ძაღლი მოჰყვებოდა.

— მიშველე, დადუ ექიმო! — ხელები აღაპყრო მოსულმა. — მიშველე და ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს!

— როცა კაცს ვკურნავ, სპილო, სამაგიეროზე არ ვფიქრობ, — მოიღუშა დადუ, — შენ იხ თქვი, რას უჩივი?

— მუცელს ვეღარ ვზიდულობო! — ამოიქშინა „სპილომ".

— ახლა კი დავიძინოთ. — დაამთვარა დურადამ, — და ხვალ სხვა ზღაპარს მოგიყვებითო.

— მადლობელი ვართ. — თქვა ადუდამ. — მაგრამ ხვალ დილით ძია დადუსთან მივდივართ სოფელ საიმედოშიო.

დადუ მკურნალი საიმედოდან

ძმისა და ძმისშვილის დანახვაზე დადუ სიხარულით ცას ეწია:

— თქვენზე მეტად დღეს ვინ გამახარებდაო.

— ძმამ ძმას სიხარულის მეტი რა უნდა მოუტანოსო! — თქვა დარადუდამ.

— თან ადუდასთანა ბიჭი თუ მოჰყვა, ამას რა ჯობს. ხომ ხართ სტაჟბოლის კაუებივითო?

— ჯანმრთელობას არ ვუჩივით, მკურნალო, მაგრამ გული ბაინც მტკივაო! — შესჩივლა ძმას დარადუდამ.

— გულმტკივარისა ტკივილი არ იცის გულდადებულმა, ძმამ კი უნდა იცოდეს ძმის გულის ტკივილისაო! — უთხრა დადუმ.

— გული იმისთვისა მტკივა, კარგა ხანია, მოწამეთაში არ მოსულხარ ჩვენთანო! — უსაყვედურა დარადუდამ.

— მუცელი ხუთფუთიან კასრს მიგიგავს და შენ კი არა, კამეჩებშებმულ ურემსაც გაუჭირდება მაგის ზიდვაო.

— მიმკურნალე. შენი გულის ჭირიმე! — შესთხოვა კაცმა. — რაიმე წამალი გამიმზადე.

— გიმკურნალებ, შენც თუ მომეხმარები, ხხვანაირად შენი მორჩენა არ შეიძლება, — მკაცრად თქვა დადუმ და მუცელი მტკაველით გადაუზომა. — ათი მტკაველია გარშემო, სიმაღლეში — ხუთი. ათჯერ ხუთი — ორმოცდაათი. ორმოცდაათჯერ ნაკლები უნდა ჭამო და მორჩები.

— მაგრე თუ მოვიქეცი, გინდ მუცელს მოვუკლავარ და გინდ შიმშილსო. — შეწუხდა „სპილო".

— ნუ გეშინია, არ მოკვდები! — დააიმედა დადუმ.

— ათასნაირი ბალახი იცი და რომელიც მომიხდება, იმის ნახარში მომიმზადეო! — შეეხვეწა მოსული.

— სამკურნალო ბალახები შენ ვერ მოგარჩენს! — უთხრა დადუმ.

— რა გაეწყობა, ავადმყოფის წამალი ექიმმა იცისო.

— მართლაც ასეა და რაღას ჯიუტობ. ისიც იცოდე, ავადმყოფობას რამდენს დაუწვები, იმდენს დაგაწვე-

ბაო. დღეში რამდენჯერ ჭამ საჭმელს? — ჰკითხა დადუმ.

— ზამთარში — შვიდჯერ, გაზაფხულზე — რვაჯერ, ზაფხულში — ცხრაჯერ, შემოდგომაზე — ათჯერ.

— გეტყობა, მაგარი გული გაქვს, თორემ აქამდე როგორ ხარ ცოცხალი, გამკვირვებიაო.

— გული კი არა, მთავარი მუცელიაო.

— მუცელს რომ აჰყოლიხარ, ეგაა შენი უბედურება. ამიტომ ასე მოიქეცი: დილაობით ერთი ჭიქა მაწონი მიირთვი. შუადღეზე — ტყემლით შეკაზმული მინდვრის ფხალი.

— ტყემალმა კბილის მოკვეთა იცის, ნიგვზიანი ხომ არ აჭობებს? — იკითხა „სპილომ".

— ნიგოზი შენი მუცლის პატრონს არ მოუხდება! — გააფრთხილა მკურნალმა.

— კარგი, ბატონო, ნიგოზსაც დავთმობ.

— საღამოს ერთი ვაშლი შეჭამე.

— საღამოს ერთი მოხარშული დედალი ან ორი შემწვარი ვარია თუ არ შევჭამე, რა დამაძინებსო! — შეშფოთდა კაცი.

— თუ არ დამიჯერებ, სულ მალე ისე დაგეძინება, ვეღარც გაიღვიძებო.

— დაგიჯერებ, დადუ ექიმო, დაგიჯერებ! — შეშინდა „სპილო". — მაგრამ ასე სანამ უნდა გავაგრძელოთ? — იკითხა.

— ორი-სამი თვე.

— მერეო?

— მერე, როგორც სხვა ჭამს ნორმალურად, შენც ისე მოიქეციო.

— ორი-სამი თვე რომ ვერ მოვითმინო, რა ვქნაო?

— ერთი ნაჭერი მოხარშული ხორცი შენი მწევრის დასანახავად შორს მოისროლე, ძაღლი გაიქცევა ხორცისკენ, შენ დაედევნე. თუ მიასწარი, შეგერგება, თუ ვერა, მით უკეთესიო.

— ერთი თვის მერე გამოიარე, მუცელი უნდა გაგიზომოო! — მიაძახა დადუმ.

— ვითომ, ეშველება რამე? — იკითხა დარადუდამ.

— თუ ისე მოიქცევა, როგორც დავარიგე, მორჩება, თორემ მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორიაო.

შემდეგ სხვა მოვიდა.

— მიშველე, დადუ ექიმო! — შეევედრა.

— რას უჩივი,

— თვალები მტკივაო.

დადუმ თვალის უპეები ჩამოუწია, შიგ ჩახედა და თქვა:

— ანთება არა გაქვს, კუკუს ნიშნები არ ჩანს, ბისტი რომ გქონდეს გადაკრული, მოსვლისთანავე შეგეტყობოდა.

— რაიმე წვეთები გამომიწერეო!

— ბოლოს და ბოლოს, რას უჩივი მაგ თვალებსო?

— მგონი, (სიელმე მეწყებაო.

დადუმ თავი დაუჭირა:

— აბა, თვალებში შემომხედეო!

— ბიჭოს, სწორად ვიხედებიო! — გაუკვირდა მოსულს.

— აკი ელამი ვარო?

— მეზობლის სახლს რომ ჩავუვლი, თვალები მაშინ მებრიცებაო, — თქვა.

ეჰ, ძმაო, შენ თვალების კი არა, სიხარბის ავად მყოფობა გქონია. ალბათ კარგი მეზობლებისადმი შური და ბოღმა გიღრღნის გულს და თვალებიც მიტომ აქვიქეთ გაგირბისო. მეზობლის ქონება, კარგად ყოფნა და ბედნიერება როგორ უნდა გშურდეს? მეზობელს ხარი უჭადე, ღმერთი შენ მოგცემსო, ბოღმა და შური გულიდან ამოიგდე, თორემ დაელმება რაა, ორთავე თვალი! ბუდეებიდან გადმოგცვივდება და მზის ნათელსაც ვეღარ დაინახავო.

მერე კუზიანი კაცი მოვიდა.

— მიშველე, დადუ ექიმო, თანდათან მეზრდება ეს დასაწვავი კუზი და მიმკურნალეო.

— შენ, ბიჭო, რომელი სოფლიდან ხარ?

— ონჯოხეთიდან.

— გიგალია ხარ, დუდგარიძე, ხომ?

— ჰო, ბატონო დადუ. მიცანით?

— დედაშენი მე არ მოვარჩინე ხუნაგისაგან?

— კი, ბატონო ექიმო! როგორ გახსოვს ათი წლის წინანდელი ამბავი?

— მე ისიც მახსოვს, მაშინ კუზი არ გქონდა.

— მერე გამიჩნდა.

— აქ რაღაც სხვა ამბავია! აბა, წელს ზევით გაიხადე, კუზი გაგისინჯოო.

გიგლა წელს ზევით გაშიშვლდა.

დადუმ კუზს მარცხენა ხელის თითები დააჭირა. მარჯვენათი დაუკაკუნა და დააყურა.

— იშვიათი მოვლენაა! კუზში რაღაც-რაღაცეები აწყვია, გამაგრდი, გავსერავ, ვნახოთ, რა მოხდება!

დადუმ კუზი დაუზილა და დანით ფრთხილად გაუჭრა.

კუზიდან ბატიფეხურით ნაწერი ფურცლები გადმოცვივდა.

დადუმ ერთი აიღო და კითხვას შეუდგა:

„ამხანაგო რაიკომის მდივანო!

ონჯოხეთელი კიკილო დუდგარიძე თავს არიდებს საზოგადოებრივიდ სასარგებლო შრომას; დილიდან საღამომდე საკარმიდამო ნაკვეთში ტრიალებს და იქ მოწეულ კამანდურს, ხახვს, ნიორს, პინპილსა და სხვა ბოსტნეულს ქალაქ თაისში მიარბენინებს გასაყიდად. კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან და სოფსაბჭოსთან შეკრულია და თვალს არიდებენ.

ამხანაგო მდივანო!

დროა, მიხედოთ ასეთ ნეგატიურ მოვლენებს, რათა ონჯოხეთში შეწყდეს კიკილია დუდგარიძის თავაშვებული პარპაში..."

— შენ დაწერე, გიგალია?

— ჰო!

— მერე სახელსა და გვარს რატომ არ აწერ?

— დამვიწყნია! — ჩაიბლუკუნა გიგალიამ.

— დაგვიწყნია კი არა, უსახელო წერილების წერა დაგიწყია. შე მუდრეგო!

— მე?.. ეს... შრომის დისციპლინის განმტკიცებისთვის...

— რომელ შრომაზე ლაპარაკობ! შენ არც გარეთ ვარგიხარ და არც შინ. კიკილია დუდგარიძე მთელ რაიონში განთქმული მშრომელი კაცია.

— კი, მარა!.. — რაღაცის თქმა დააპირა უსახელო წერილის ავტორმა.

— ხმა ჩაიწყვიტე!.. პატიოსან კაცს ჩირქსა სცხებ! თანაც კიკილო შენი ბიძაშვილი არაა?

— ბატონო, ექიმო!

— კრინტი არ დაძრა!

დადუმ გიგალიას პანღური ამოჭრა და ეზოდან კინწისკვრით გააგდო.

— ადამიანის პანღური ვირის წიხლზე უარესიაო, — თქვა დარადუდამ და თან დაუმატა. — ახია მაგაზეო!

დარადუდამ ადუდას ხელი ჩაჭიდა და დუდარასკენ გასწიეს სოფელ მწყერისციხეში.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

„სილამაზის წყარო“

ზაფხულობით საირმეში ვისვენებ ხოლმე, იქაურობას გოჯი-გოჯ ვიცნობ. მიუხედავად ამისა, წელს პირველად ვიხილე „სილამაზის წყარო“, ბუმბერაზი მთების ძირიდან რომ გამოედინება...

პირველად რომ ვესტუმრე, დროული მამაკაცები ისხდნენ წყაროსთან. ეს ლეგენდაც მათ მიამბეს:

რამდენიმე საუკუნის წინათ მოხუცი ქალი წასულა მთაში საქონლის ჩამოსარეკად. მოულოდნელად გაავდრებულა, კიდეც ჩამობნელებულა. ქალს გზა ვერ გაუგნია და დარჩენილა მთაში პატარა წყაროს მახლობლად. დილით მონადირეს ჩამოუვლია და წყაროსთან ულამაზესი მძინარე ქალი დაუნახავს. ისეთი ლამაზი ყოფილა, თვალი ვერ მოუშორებია. ამასობაში ქალს გამოუღვიძია კიდეც. საკუთარ თავს ითვალიერებდა თურმე, ერთ ღამეში ასე რამ გამალამაზა და გამაახალგაზრდავაო... თურმე ღამით წყაროს წყლით დაუბანია პირი...

ასე შერქმევია „სილამაზის წყარო“ იმ წყაროს.

ნათია მჰედლიძე,

ზესტაფონი. პირველი ხვირის ხაშუალო სკოლა. XI კლასი.

უფლისციხესთან

უფლისციხესათან მოფენილა
სახელთა გროვა,
სახელნი დიდნი,
მომავალი დავითისანი.
დიდი მერაბის ნანატრი დრო
უთუოდ მოვა
და სამუდამოდ დაესობა
მტრის გულს ისარი.
მაღლა აწვდილა,
ვით სიმბოლო სიძველისანი,
გადმოიხედავ და შეგძრავს
შიშისა ზარი.
ამოკვეთილან იქ, მაღლა,
ჯვირაბნი
სალი კლდისანი,
დგას ბუმბერაზი უფლისციხე
და მიდის ხანი!

ნიკოლოზ კვახაძე,

მცხეთა. ძეგვი. X კლასი.

კოდისწყარო

ეს ლეგენდა ჩემს სოფელში დღემდე ცოცხლობს... დიდი ხნის წინათ ერთ უღარიბეს გლეხს უცხოვრია ამ სოფელში. დიდი ოჯახის მამა ყოფილა, დღიური ლუკმა კარგად ... საძებნი ჰქონია თურმე.

ერთ დღესაც გამოუკრავს ბოხჩაში მთელი თავისი ავლადიდება — გაცვეთილი ქალამანი, ტანსაცმელი, სპილენძის ქვაბი და წასულა ლუკმა-პურის საშოვნად. ბევრი უვლია თუ ცოტა უვლია, მისდგომია კარზე ერთ ვაჭარს, მთელი თავისი ქონების სანაცვლოდ ერთი კოდი სიმინდის ფქვილი მიუღია იმ ვაჭრისაგან და ისევ გამობრუნებულა თავის სოფელში. გზაში ძალიან დაღლილა, ჩამომჯდარა წყაროსთან, მისი ცივი წყლით გული გაუგრილებია. წამოსვლა რომ დაუპირებია, უცებ წამოპირქვავებია ფქვილის ტომარა და ის ერთი კოდი სიმინდიც წყაროში ჩაპნევია. ასე ეწოდა თურმე იმ წყაროს კოდისწყარო. ხალხი ყვება, იმ გლეხმა თავი მოიკლა, რაკიღა ოჯახის სარჩენი სახსარი აღარაფერი დარჩაო...

ნინო ანთაძე,

თბილისი. მე-100 საშუალო სკოლა. VII კლასი.

ლუარსაბი. კახა ჩიტაური. 10 წლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბე

წვიმის შემდეგ გავახილე თვალი და გზაზე დავწექი. პატარა გუბე ვარ, ჩემი დედა წვიმაა. მალე აღარ ვიქნები და ამაზე ვდარდობ, სულ ცისკენ მიჭირავს თვალი, მეშინია, მზემ არ გამოანათოს და პატარა გული არ ამომიშროს. ნამივით არ გამიქროს სიცოცხლე. ჩემს გულზე ტივებივით გაწვნენ ჭრელი ფოთლები, ნებივრობენ, თვლემენ. ნანას მღერიან. ძალიან შევეჩვიე, ალბათ, ერთმანეთის გარეშე ველარ გავძლებთ.

ვაი ჩემს თავს! ღრუბლებიდან მზემ თავი გამოყო. რა ვქნა, სად დავიმალო?! აგერ, ცის კამარაზე დაბრძანდა. ალბათ დააცხუნებს და გულს ერთიანად მომწყვეტს. გაამართლა ჩემი შიში, უფრო და უფრო ვპატარავდები, თანდათან ვქრები...

მიშველეთ, ჩემო საყვარელო მეგობრებო! მიშველ...

გავქრი. აღარა ვარ... ნუთუ სულ უკვალოდ გავქრი? არა, დედაჩემთან დავბრუნდი ცაში.

გამხმარი ფოთლები კი, ჩემი ძველი მეგობრები, იქ დარჩნენ, დაბლა, სადაც მე თვალი გავახილე.

ჭრიჭინოგელა

ჭრიჭინით აიკლო იქაურობა. იმდენი იჭრიჭინა, სანამ ბაბუაწვერა არ გააღვიძა. მერე ფოთლებზე ისკუპა და გაბრაზებულ ყვავილს გახედა. ბაბუაწვერამ გაიზმორა და თავი მეზობელს მიადო. ცოტაც და, სიზმარი წამწამებიდან გაუფრინდებოდა. მზემ დააჭირა, აბეზარი ჭრიჭინა კი ისევ მღეროდა. მისთვის სულერთი იყო ყველაფერი. ერთადერთი მელოდია იცოდა და დღედაღამ იმას ჭრიჭინებდა. მზე ჩაესვენა. ცას წითელი აბლაბუდა შემოეხვია. ქარმა დაჰბერა. ორი ბაბუაწვერას ტანი ერთმანეთს საცოდავად მიყრდნობოდა, ქარი ხელისგულზე ათამაშებდა მათ თავებს. ჭრიჭინა კი — ფოთოლზე არხეინად იჯდა და უდარდელად დაჰყურებდა თავის გრძელ ფეხებს.

ნინო მაისაშვილი.

თბილისი, 166-ე საშ. სკოლა. X კლასი.

დიმიტრი თავდადებული

სიმძიმილით დაილეწნენ დღენი,
ცას აღმოხდა სუნთქვა სანუკვარი,
მრავალტანჯულ არს საწუთრო ესე,
ქრისტეს რჯული, ჩვენი საფიცარი.
საქართველოს ავედრებდა უფალს,
გულს ეკიდა სანეტარო ჯვარი,
გაბრწყინდა და გალამაზდა ერი,
მისი სულის უწმინდესი ქნარით.
საუფლოში წარსდგა სიხსლის
კვართით,
იდგა სწორედ ვარდფურცლობის
დარი,
მიეახლა ღმერთს დიადი სახით,
შეავედრა საქართველოს ბედი.
საღმრთო წესით გასპეტაკდა მეფე,
მოიდრიკა და „წარუპყრა ქედი".
თავდადებით შეეწირა ერსა,
აღესრულა ვარდფურცლობის დღესა.
აღმოხდენილ მზის ელვარე შუქზე
სიხსლის კვართი გადაეცვა მტკვარსაც.
მიაბარეს წამებულის ნეშტი,
მაშინ მტერიც თითქოს ოდნავ
დაცხრა.
შეიმუსრნენ უკურნები დღენი,
მტკვარს აღმოხდა ოხვრა საოცარი,
ხოტბა უთხრა მოუდრეკელ გმირსა,
ვისაც რჯული ჰქონდა საფიცარი,
გაბრწყინდა და გალამაზდა ერი
მისი სულის უწმინდესი ქნარით.

თეა ყაჭაშვილი.

დედოფლის წყარო, სოფ. ოზაანი.
IX კლასი.

წვიმის წვეთები

წვიმის წვეთები ციდან მორბიან
და დედამიწას ეხუტებიან.
ეშურებიან მიწის ძუძუ-მკერდს,
მზის მცხუნვარებას ებუტებიან.
ასე მგონია, წვიმის წვეთები
შეყვარებული ღმერთის ცრემლია,
მარტოსული და იმედწაგვრილი
მინებებია ხილვებს სევდიანს.
წვიმის წვეთები კი ბავშვებს ჰგვანან,
კისკისებენ და ცაში დაჰქრიან,
ეშურებიან მიწის სიმწვანეს
და ცის სილურჯეს სიცილს აყრიან.

ნათია ფუტკარაძე.

წყალტუბო, ხოჯალ წყალტუბოს
საშ. სკოლა. IX კლასი.

მსურს, რომ დავუყვე ჩემი სოფლის
ნაცნობ შარაგზებს,
იდუმალებით მოცულ სამყაროს
თვალი შევავლო,
ჩემი მამულის სიყვარულით
აღტაცებულმა,
წმინდა ტაძარის გადარაზული
კარი შევაღო.
ხელი შევახო ბუჩქის ძირას
თავმომწონე იას მთრთოლვარეს,
თეთრი ხომალდით აბობოქრებულ
ზღვაში გავცურო,
მივუალერსო წყაროს პირას შვლის
ნუკრს — მწოლარეს.
მსურს, რომ ჩიტუნას ვაპოვნინო
თავისი ბარტყი,
სადღაც უმწეოდ დარჩენილი
უდაბურ ტყეში,
ჩემი მამულის სილამაზით
გაბრუებულმა,
ყველა ბილიკი გადამატარა
დათოვლილ მთებში.
ივერთ მიწაზე სიმართლის ნერგი
ნაყოფს მოისხამს,
კვლავ საქართველო ცისკრის
ვარსკვლავად ამობრწყინდება
და ფიროსმანის ფუნჯით მოხატულ
ქართულ ზეცაზე
თავისუფლების მაღალი მზე
ამობრწყინდება.
ღამღამობით კი კიაფობდეს ბედის
ვარსკვლავი,
საქართველოს ნათელ მომავლის
მახარობელი,
დაწყევლილ იყოს ყოვლისშემძლე
უფლისაგან
ავი სატანა, სხვისი ენის, მიწის
მპყრობელი.
უფლის მოწამე, მარიამის წილხვედრ
მხარეში
ომახიანად გაისმება კურთხეული
„მრავალჟამიერ".
ბედნიერება ნუ მოშლოდეს
ბედკრულ ქვეყანას,
ღვთისგან მადლმოსილ საქართველოს
იმერ-ამიერ!

ქანა შუკაკიძე.

ხაირხის საშუალო სკოლა. X კლასი.

ადამი და ევა უბედურნი და მოწყენილნი არიან. მათ ჩაიდინეს ის, რაც ღმერთმა აუკრძალათ. ახლა კი ღმერთი სჯის მათ, ისინი იძულებული არიან, მიატოვონ თავიანთი მშვენიერი სახლი და ედემის ბაღი. და ანგელოზი უკრძალავს მათ უკან დაბრუნებას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნოგბილმა საგავშვო მწერალმა კენეტ ტეილორმა და მხატვრებმა რიჩარდ და ფრენსის ჯუკებმა თქვენთვის, უმცროსებისათვის, დიდი საღვთო წიგნის, ბიბლიის მიხედვით შექმნეს „ჩემი პირველი სურათებიანი ბიბლია". მასში, უმთავრესად, მოთხრობილია მაგა-ღმერთსა და მის ძე იესოზე, აგრეთვე ღვთის სურვილზე — ვიყოთ ყველანი პატიოსანნი და საამართლიანნი.

ის მშვენიერი წიგნი რამდენჯერმე გამოიცა ინგლისში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში. ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციამ გადაწყვიტა, თქვენც შემოგთავაზოთ მისი ქართული თარგმანი, რათა არა მარტო შეისწავლოთ და შეიცნოთ იგი, არამედ ეკლესიაშიც თან წაიღოთ ხოლმე, როცა იქ ლოცვის აღსავლენად და საღთლის დასანთებად შეხვალთ. ეს რომ გაგიადვილდეთ, ტექსტი ისე განვალაგეთ, რომ იოლად შეძლოთ ჟურნალიდან ფურცლის ამოღება, გაკეცვა და მერე, გეჭდვა რომ დასრულდება, მთელი ტექსტის ერთ წიგნად აკინძვა.

მაშ, ასე, ვიწყებთ დასურათებული ბიბლიის გეჭდვას.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი!

ბერძენ ფილოსოფოსებს ასეთი ანდაზა
ჰქონიათ: „ადამიანი ერთ ენას ორ
ყურსა და ორ თვალს ამბობს, ეს
— ანა. ეს ბევრი ფიქრობს, ეს
ბევრი ხედავს, ეს ცოტა ლაპარაკობ-
ენ-ეთ-ეს-ეს-ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნოემ ნავის აგება დაამთავრა. ღმერთმა უბრძანა, ნავში აეყვანა ყველა სახეობის ცხოველი და ფრინველი. აი, ორი ჟირაფი, ორი ვეფხვი და ორი იხვი. ყველანი უხიფათოდ იქნებიან კიდობანში, როცა წარღვნა დაიწყება.

ხუთ კვირაში ნოემ ბოლოს ნავი ააგო. ცვლილებები ადამიანებმა ვერ ამჩნიეს. ბევრ ადამიანს ეგონა, ეს ბაზრობისთვის ამენაგებინა, ან ბავშვებისთვის ამოსაბეჭდი ნიმუში ეგონა. ადამიანები ეძებდნენ ბოლო ძალებს, ოღონდ ეს ნავი ეხმარებოდა ადამიანებს ცხოვრების გადარჩენაში. ეს ბევრმა ვერ გაიგო, ან ეგონა, ტოლერეთია ეს ზღვაში?

საბჭოთა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევანთვნა ნოეს ეფრძანა, ავაგო „ეიდაფაინ“ ვეველერეველ. ვიყენებ ნავი. ეს ნავი ეფლოთვლეველ ბი-ნაგ ვიაბრეკალბენ ობლეთეგიყენ ბა-ბაკ. ეიდაფაინ ჯვეკ ეიდაფაინ-ზე ლეაბ. ეფლოთ ბაკ ნავიდ ნეფლ-ეა ლა ბაბეგ ეიბეგიბ, ეიდეკ ნყა-ლი ეფლ ეფლ ეფლ



ტესტი

იტალიურიდან თარგმნა ნუნუ გელაძემ

როგორი მამა გყავს?

გინდა გაიგო, როგორი მამა გყავს? ეს თამაში-ტესტი დაგეხმარება მის უკეთ გაცნობასა და შეფასებაში, მასთან დამეგობრებაში. ამისათვის საჭიროა, გულწრფელად უპასუხო დასმულ კითხვებს, მერე კი მოემზადევნო გვერდი გადაშალო და პასუხები წაიკითხო.

1. სახლში დაბრუნებისთანავე მამა:

ა) იცვამს ფაჩუჩებს და ჯდება სავარძელში;
ბ) მოგკითხავს საშინაო დავალებას;
გ) ეხმარება დედას საშინაო საქმეებში;
დ) ხშირად გადის ეზოში სავარჯიშოდ.

2. კვირა დილით მამა:

ა) გვიანობამდე არ იღვიძებს;
ბ) შენც გაცლის ძილს;
გ) გაიძულებს, მონაწილეობა მიიღო ოჯახურ საქმიანობაში;
დ) იცვამს შესაფერისად და სახლიდან გადის.

3. როცა იცულლუტებ, ან რაიმეს დააშავებ, მამა:

ა) არაფერს გეუბნება მაშინაც კი, როცა დედა გტუქსავს.
ბ) წამოგარტყამს, ზოგჯერ — მწარედაც;
გ) სერიოზულ საუბარს გაგიბამს;
დ) დაგიყვირებს, მაგრამ მაშინვე ბოდიშს მოგიხდის.

4. თავისუფალ დროს მამა უმთავრესად:

ა) ისვენებს;
ბ) კითხულობს, ანგარიშობს ან ზრუნავს სამსახურის საქმეზე;
გ) ოჯახში ატარებს;
დ) იცვამს შესაფერის ტანსაცმელს და სახლიდან გადის.

5. სატელევიზიო გადაცემებიდან მამა ამჯობინებს:

ა) გასართობ პროგრამებს;
ბ) სერიოზულ პროგრამებს;
გ) იმ პროგრამას, რომელსაც დედა უყურებს;
დ) სპორტულ პროგრამას.

6. მამა კმაყოფილია თუ:

ა) არაფერს აშავებ;
ბ) დარწმუნებულია, რომ სკოლის დავალებებს პირნათლად ასრულებ;
გ) გხედავს ბედნიერსა და მშვიდს;
დ) ყოჩაღი ხარ.



7. შვებულებას მამა შემდეგნაირად ატარებს:

ა) მხოლოდ ისვენებს;
ბ) უყვარს მუზეუმებისა და ძეგლების დათვალიერება;
გ) ძირითადად ერთობა;
დ) მუდმივად მოქმედებს და ეძებს თავგადასავლებს.

8. ძალიან ხშირად მამა:

ა) დაღლილია;
ბ) ცუდ გუნებაზეა;
გ) კარგ გუნებაზეა;
დ) მეტად დინამიურია.

პასუხები: გადათვალე, რომელი სჭარბობს შენს მიერ შემოხაზული გრაფებიდან: „ა“, „ბ“, „გ“ თუ „დ“ და წაიკითხე სათანადო პასუხები. თუ ორი ან სამი გრაფა ერთნაირი რაოდენობით გაქვს შემოხაზული, მაშინ წაიკითხე ყველა შესაბამისი შეფასება, რადგან მამაშენს „ორმაგი“ ხასიათი აქვნია.

პასუხი „ა“:
მამაშენი წაიზარმაცებს

მამაშენი უსიმპათიურესი ზაზუნაა, მუდამ მოშვებული და ძილისკენ მიდრეკილი. ამიტომ იგი საშინლად ზარმაცი გეჩვენება. ზოგჯერ მართალიცა ხარ, თუმცა მთლად ასე არ არის. ოდესღაც ისიც ხომ იყო აქტიური და ხალისიანი! ხანდახან ახლაც გამოფხიზლდება ხოლმე. ხომ შეიძლება, მისი ამგვარი მდგომარეობა მძიმე და აუტანელი სამსახურის ბრალი იყოს?! ამიტომ ეცადე, მოექცე მას ყურადღებით, ზრდილობიანად, შეწყნარებით; ჩაითრიო შენს თამაშში, ინტერესებში; გაუბა ლაპარაკი, დააინტერესო შენი ცხოვრებით და ნახავ, როგორ გამოაფხიზლებ მამას ლეთარგიული ძილისაგან.

პასუხი „ბ“:
გამგებიანი მამა

მამაშენი კარგი და ლაღი პიროვნებაა. ძალიან უყვარხართ შენ და დედა და, შესაძლოა, ყველაზე დიდი სიხარული მისთვის ოჯახია. იგი გამგებიანია, აქვს იუმორის გრძნობა, კარგად ესმის სხვისი და ეგოისტურად არასოდეს იქცევა. მამა ძალიან ადვილად შეიძლება გახდეს შენი მეგობარი, თუკი გაენდობი ხოლმე, ჩაითრევ შენს თამაშებსა და ინტერესებში. ცხადია, როგორც მამა, ზოგჯერ მკაცრიც უნდა იყოს, მაგრამ ეს იმისათვის, რომ ცხოვრებაში უკეთ ჩაგახედოს. ერთი სიტყვით, ძვირფასი და იშვიათი მამა გყავს.

პასუხი „გ“:
პირქუში მამა

ხშირად მამა ზედმეტად სერიოზული გეჩვენება, თავის „უმნიშვნელოვანეს“ ფიქრებში ჩაფლული. სიმართლე რომ ითქვას, მისი ამგვარი მოღუშულობა შიშს გინერგავს — შეუძლებლად მიგაჩნია მასთან დამეგობრება. მაგრამ უნდა გახსოვდეს: მამას ძალიან უყვარხარ, მაშინაც კი, როცა ამას გარეგნულად არ ამჟღავნებს. და როცა წამოგარტყამს ან გიბრაზდება, იცოდე, ამას შენი კეთილდღეობისათვის აკეთებს. ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ იმავე სიმკაცრეს საკუთარი თავის მიმართაც ავლენს. იფიქრე ყოველივე ამაზე და უფრო დააფასებ მამას.

პასუხი „დ“:
შემტევი მამა

გყავს უაქტიურესი, ენერგიული და სპორტული მამა. იგი საოცრად სიცოცხლის მოყვარეა, ესწრაფვის თავგადასავლებს. უყვარს ყოველგვარი სიახლე და შეუძლია, ბევრი რამ საინტერესო გასწავლოს. ალბათ, ცოტას წუწუნებ კიდეც ნაკლებად რომ ხედავ მამას შინ, განიცდი მისი მრავალრიცხოვანი ინტერესებისაგან შორს დგომას, რომელთა შორის სპორტს უჭირავს პირველი ადგილი. ამიტომ, ეცადე, დაუმეგობრდე, დააინტერესო ისეთი რამით, რაც ყველაზე მეტად უყვარს, გახდე მასავით მოძრავი და სპორტული. ეს უფრო დაგაახლოვებს მამაშენთან.



დი სნაიდერი

თვითგადარჩენის კურსი მოზარდთათვის

მთარგმნელი
ნანა მენაბდე

შენ და მშობლები

ისევე, როგორც ყველას, შენს მშობლებსაც აქვთ ცხოვრებისეული პრობლემები, ამიტომ ხშირად ისინი საკუთარ შვილებსაც უქმნიან გარკვეულ სიძნელეებს.

ახლახან შენმა მშობლებმა ახალი ამბავი გამოგიცხადეს: ისინი განქორწინებას აპირებენ. ნახევარი საათის წინ მყარი ოჯახი გქონდა, ახლა კი... ერთ-ერთ მშობელს ესმის, რომ მეორე მშობელი ის ადამიანი არ არის, ვისთანაც შეიძლება მთელი ცხოვრება გაატარო. მაგრამ — როგორ? ისინი ხომ სიყვარულით დაქორწინდნენ?

დაიხსომე: შენი დედა და მამა დამოუკიდებელი პიროვნებები არიან, ადამიანები კი დროის დინებასთან ერთად იცვლებიან. აბა, ერთი შეხედე საკუთარ თავს: განა ახლაც ისეთი ხარ, როგორიც ამ ერთი წლის წინათ იყავი? რა თქმა უნდა, არა. გაგიჩნდა ახალი ინტერესები, მეგობრები. მართალია, უფროსები მოზარდებივით მკვეთრად არ იცვლებიან, მაგრამ მაინც იცვლებიან — ზოგნი ერთად, ზოგნი კი — სხვადასხვა მიმართულებით.

მრავალი წლის წინათ განქორწინება ცოდვად ითვლებოდა. ამიტომ ბევრ უბედურ წყვილს არ შეეძლო, გაშორებოდა ერთმანეთს. დღეს განქორწინებას უფრო იოლად უყურებენ, რადგან განქორწინებულებს შეუძლიათ ბედნიერება სხვასთან ეძებონ და ხელმეორედ დაქორწინდნენ. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. რისთვისაა საჭირო ორი ისეთი ადამიანის ერთად ყოფნა, ერთმეორეს სიცოცხლეს რომ უშხამავენ? მე ვიცი ადამიანები, რომლებმაც შეუღლებისას ნახევრად ხუმრობით ერთმანეთს განუცხადეს: თუკი ქორწინება არ შედგა, ჩვენ, უბრალოდ, განქორწინდებითო! აი, რა ადვილია!

და მაინც ვთვლი, რომ ვიღაცას მართლა მოსწონს თავად განშორებისა და განქორწინების იდეა. შესაძლოა, ასეთი ხალხი არსებობს, მაგრამ ისინი, საბედნიეროდ, ცოტანი არიან. უმრავლესობისათვის განქორწინება ტანჯვა და დარდია. მშობლებისგან ბევრს იგებ კარგს, მაგრამ განქორწინება ის მაგალითია, რომლითაც ხულაც არ ამაყობენ შენი მშობლები.

არავის ძალუძს ერთდროულად ორ ადგილას ცხოვრება, შენი მშობლები კი ცალ-ცალკე აპირებენ ყოფნას. ამიტომ წამოიკრება მეტად სერიოზული საკითხი: ვისთან იცხოვრებ შენ? ეს ხომ ფრიად მნიშვნელოვანი რამ არის მთელი შენი მომავალი ცხოვრებისათვის! აუცილებლობა მოითხოვს, გააკეთო არჩევანი. თუნდაც ამით ერთ-ერთი მშობელი გაანაწყენო. დედებისა და მამების უმრავლესობას ესმის, რომ ეს არჩევანი გაანაწყენული არ არის იმით, თუ რომელი გიყვარს უფრო მეტად. ზოგჯერ მამა საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადადის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა შეიცვალო სკოლა, გამოემშვიდობო მეგობრებს... თუნდაც დედამამას არ უყვარდეთ ერთმანეთი. შენ ორივეს მუდამ ეყვარები.

განქორწინების პირველ წლებში ცხოვრება ჭირს, მერე კი ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში დგება. როდესაც მამა აღარ ცხოვრობს თქვენთან (ასე უფრო ხშირად ხდება), შეიძლება მოგეჩვენოს, რომ დედაშენის ყურადღება და ალერსი გაკლია. მაგრამ გაითვალისწინე: ახლა მას ერთდროულად ორი ადამიანის მაგივრად უწევს საქმის კეთება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ქალების უმრავლესობა დეპრესიაში ვარდება, თავს იჩენს ფინანსური პრობლემები. მთავარია, არც ერთ მშობელს არ მისცე უფლება, დაგიპირისპიროს ერთმა მეორე, ან გელაპარაკოს, რომ მას უფრო მეტად უყვარხარ, ვიდრე მეორე მშობელს. შეიძლება, ერთმანეთზე ნაწყენებიც იყვნენ, მაგრამ არცერთმა მათგანმა არ უნდა დაგაყენოს ამ წყენის ცენტრში. თუკი ასეთ რამეს შეამჩნევ, მიახვედრე, რომ მსგავსი რამეები არ მოგწონს. შეიძლება ამან გაკრას ან არ გაკრას, ყოველ შემთხვევაში, ნება არ მისცე, შენით ამგვარი მანიპულაციები ჩაატარონ.

(გაგრძელება იქნება)



ხალხური მეტეოროლოგია

თუ მუხუდოს კარგად ასხია, დიდთოვლობას ელოდეთ.

დიდი ზამთრისთვის უნდა მოემზადოთ, თუ ზამთრის პირზე დაკლულ ხბოს ელენთის ნაპირები დაკბილული აქვს.

შემოდგომა ხანგრძლივი იქნება, თუ დეკა შემოდგომაზე აუვავდა, თუ ხვლიკები გვიანობამდე რჩებიან და ლოკოკინებიც ბევრია. ასეთივე შემოდგომა იქნება, თუ თრთვილი ადრე მოვიდა და გაუინა.

აუცილებლად იჩქარეთ შინ მიბრუნება, რომ წვიმაში არ მოყვეთ, თუ:

საბალახოდ გარეკილი საქონელი ვერ ისვენებს და ზედმეტად მოძრაობს;

მზე აცხუნებს, ძალზე „იკბინება" და, ამასთან, მეტისმეტად ბრწყინავს (შავი ღრუბლებიც და დასავლეთის ქარიც წამოქროლვას თუ აპირებს, სეტყვაა მოსალოდნელი);

ჩიტები არ გალობენ, გუგულები „გუგუს" მოუხშირებენ და ფუტკრები სკაში შემალვას ჩქარობენ;

საძოვარზე გასულმა ნახირმა თავი ერთად მოიყარა.

თუ კატა ბალახს „ძოვს", ე. ი. პირს ჰკიდებს, წვიმა იქნება, მაგრამ თუ „პირის ბანვისას", როცა იგი სახეზე თათს ისვამს, ყურსაც ატანს, კარგ ამინდს ელოდეთ.

თუ წიწილებს არ შიათ, მაგრამ მაინც წივწივებენ, ამინდი შეიცვლება — წვიმა ან ძლიერი ქარია მოსალოდნელი.

საღამოს სამოვრიდან მობრუნებული ცხვარი კვლავ ბალახს თუ ეტანება, გაავდრდება.

ვლადიმერ ბერიაშვილი

მხატვარი თემურ ფხიკაძე

„ოო... აი, ესეც ახალი ფერმა! დედა, დედა, რა ვარიკებია! როგორი ხუჭუჭები, როგორი ბუნჩულები!.. მზეს ეუბნებიან, შენ ჩადი, ჩვენ უნდა გავანათოთო, ანათეთ, ლამაზებო, ანათეთ, ღაბუებო! აბა, ერთი მოიღერეთ გედივით ყელი და მიმღერეთ რამე!

უ-უხ! თქვენ კი ჩაგიწყდეთ ხმები ერთ დღეს და დაგცვივდეთ ეგ საზიზღარი კბილები! როგორ აღავლავდნენ ეს ცხვირგასახმობები! ჩემი ხუნი თუ იკრეს! თქვენ მოგემტვრათ თათები და დაგიბრმავდეთ თვალები. ჰაანდე! იხე, მეც კაი ხულელი ვარ, ფერმას ნიავის მხრიდან რომ მივადექი!

კოპწიებო, ოქროს ნისკარტიანებო, თქვენ გენაცვალოთ თქვენი მელიკო! ახლა მე წავალ, ამ თავგასიებულებს გავეცლები, საღამოზე კი მოვალ, მოვალ და აბა, თქვენ იცით, როგორ ჩამაკოკლოზინებინებთ პირს.

ო-ხო-ხო-ხო, რას მორბიან! აბა, ეროი გავეთამაშგამოვეთამაშო, იქნებ დაუსკდეთ ღვარძლით სავსე გულები! აჰა, თქვენ, აჰა, ო-ჰლა, ოჰ! ახლა კი დროა, მოვცოცხო. მიდი-შვიდი, აბა, მომყევით, თქვე დაფეხვილებო!“

წითური მელა რამდენჯერმე შეხტა, შეითამაშა, მერე ადგილს მოსწყდა და გორაკებისკენ მოუსვა. უკან ენაგაღმოგდებული, ლაშზე დუჟმომდგარი ძაღლები გამოეთენენ. მელა გარბოდა და დროდადრო უკან იხედებოდა. არა ამათში ჩემი დმჭერი არავინაა, — ფიქრობდა მელა, — და მაცადეთ, რა სეირი გიყოთ!

— აგერ! ის არის, ის! — კაცმა თავი ასწია, მდევარ-დევნილს თვალი გააყოლა, ცალი ხელით თოხს დაეყრდნო და მელას მუშტი დაუქნია.

„ძეძვის კონა“

— ვინ ის, მამი? — ბიჭმა მინდორში გაწვართულ წითელ ისარს თვალი შეასწრო, მერე მამას იდაყვზე მოქაჩა და ცნობისმოყვარეობისაგან აცქმუტდა.

— ვინ და, ძეძვის კონა!

— რა ძეძვის კონა, მამი? — გაოცდა ბიჭი.

— მელა. ეგ ისეთი ოხერია, დღე არ გავა, რაიმე არ მოიპაროს, — გულმოსულად თქვა კაცმა.

— ძეძვის კონა რაღა შუაშია?

— ხედავ, ძაღლები მისდევენ, პირში კი მაინც რაღაცა უჭირავს და არ აგდებს. ეგ რასაც „წამოედება“, ძნელად დათმობს, ამიტომაც შევარქვი ძეძვის კონა. გახსოვს, ამის წინებზე შენს პატარა დას ნამცხვარი რომ წაართვა?

— როგორ არ მახსოვს! ის არის? — ბიჭი სიცილით გადაკოტრიალდა. ამის შემხედვარეს კაცსაც გაეღიმა. — — მერე რა, ხომ არაფერი დაუშავებია, ისე ნაზად ააცალა ხელიდან, სოფიკომ ტირილიც კი ვერ მოახერხა.

— მაშინაც ძაღლები მოსდევდნენ, მაგრამ არ დაიზარა, შეჩერდა, ნამცხვარი ასტაცა და მოუსვა. ეუბნები, ძეძვის კონაა-მეთქი, ხელცარიელი, რომ კვდებოდეს, სოროში არ მივა.

— პატარა მელიკოები ეყოლება, მამი, და რა ქნას?! — ბიჭმა ხელით მოიჩრდილა და მელას გაიხედა.

— ალბათ, ჰყავს. — კაცმა მზეს ახედა და თოხნა განაგრძო.

— მამი, მამი, — არ ასვენებდა ბიჭი, — რით იცანი, ის როა?

— კუდის წვერზე ბალანი აქვს ამოგლეჯილი. კარგი, დამაცადე ახლა მუშაობა! ცივი წყალი მომიტანე.

ბიჭმა დოქს წამოავლო ხელი და ბილიკზე დაეშვა, მაგრამ მალი-მალ უკან იხედებოდა და წითურას დანახვას ცდილობდა. „ნეტა ვერ დაიჭირონ“. — ნატრობდა ბიჭი და კისერი უკან ეღრიცებოდა.

„ძეძვის კონაო?! ეს რა სახელი შეურქმევია, გაიგე! — ფიქრობდა მელა და ნახნავში მსუბუქად მიხტოდა. — თა

ნაც, ოხერიო! ოხერიცა ხარ და არც არა იცი რა! ყოველ-
დღე თუ რაიმე არ ვიშოვე, მაშ შენ გამოკვებავ ჩემს ცხრა
ფუმფულა შავთვალას?! აი, იმათ კი ენაცვალოთ მამიკო,
რა კარგები არიან, თქვენ ხო არ იცით, ხალხო!

ჰი-ჰი-ჰი, ნამცხვარი წაართვაო. კი არ წავართვი, თვი-
თონ მომცა! სოფიკო რქმევია. კარგი სახელია! რომ დამი-
ნახა, ნამცხვრიანი ხელი გამომიწოდა, ალბათ იცოდა, პა-
ტარები რომ მყავდა, და იმათთან წაიღეო, უნდოდა ეთქვა,
მაგრამ ლაპარაკი ჯერ არ იცის და რა ექნა. მეც მივედი,
წინა კბილებით ფრთხილად გამოვართვი, თავი დავუკარი
— მადლობა გადავუხადე და გავიქეცი, გავიქცეოდი, მაშ
რა იქნებოდა, ქოფაკები მომდევდნენ და...“

მელამ უკან მიიხედა. მდევრები უახლოვდებოდნენ, რა-
ღაც უნდა ეღონა. წინ დიდი ბუჩქი შენიშნა, მისკენ გაემა-
რთა, გარშემო ორი წრე დაარტყა, თავისივე ნაკვალევი
გადაკვეთა, მერე ერთი დიდი ნახტომით ბუჩქს თავზე გადა-
ევლო, არხში ჩახტა და სირბილი შეანელა — ვიდრე მდე-
ვარი ბუჩქს გამოიკვლევს და ახალ ნაკვალევს იპოვნის,
ცოტა სულს მოითქვამს.

„დღეს ჩემს წკავწკავებს ამ თაგვს მივუტან. კი ეცოტა-
ვებათ, მაგრამ მოითმინონ, ამაღამ ფერმას ვესტუმრები და
ერთ ისეთ ღაბუა თვალებკვარკვალას დავითრევ, რომ ბუ-
ცულები სულ დოლებივით გაუხდეთ. რა კარგები არიან,
ხალხო, როგორი თამაში იციან, ენაცვალოთ ბაცაცა მამი-
კო! რო ჩამომეკიდებიან ხოლმე კუდზე თავისი ნემსივით
კბილებით, ვიდრე ძალით არ გავაშვებინებ...“

მელამ გორაკებს მიაღწია, ფერდობზე ფხაჭა-ფხუჭით
აიჭრა, ერთ ვიწრო გვირაბში დურთა თავი, მეორე მხარეს
გავიდა, მერე გორაკის წვერზე აირბინა, თაგვი დააგდო და
ლორთქო ბალახზე წამოგორდა.

„ჰო, იმას ვამბობდი... რას ვამბობდი? — მელა ჩაფიქრ-
და, მერე გაიხსენა და გაეცინა. — კუდი-მეთქი. ხედავთ, ჩე-
მო ვარიკელებო, თქვენი პატრონები კუდით მცნობენ თუ-
რმე.

ჰაი, დედასა, მაშინ პატარა ვიყავი, თორემ ჩემს კუდს
პირში როგორ ჩავუგდებდი იმ კუდმოსაჭრელსა!

ეს მაშინ მოხდა, მამაჩემმა პირველად რომ წამიყვანა
სანადიროდ. ღამე იდგა. სოფელში ისე შევიპარეთ, არათუ
კაცის შვილმა, ყეფიას შვილმაც კი ვერაფერი გაიგო. მამა-
ჩემმა სადარაჯოდ დამტოვა, თვითონ კი საქათმეს ძირი გა-
მოუთხარა და შეძვრა. თავდაპირველად მაშინ გავიგონე,
თუ რა ზარივით ხმა ჰქონიათ იმ ბუმბულფარფალებს. სა-
ქათმეში ისეთი კრიახი ატყდა, ისეთი, რომ სული კინაღამ
კოჭებში გამეპარა. მამაჩემი მალე გამოჩნდა. პირში ერ-
თი პუტკუნა შავბუმბულა ეჭირა, მანიშნა, გავიქცეთო და
მოუსვა. წესით, მე უკან უნდა გამოვდევნებოდი, მაგრამ
ვიფიქრე, რო გავიქცე, მა სანადიროდ ტყუილად წამოვე-
დი-მეთქი?! რა სულელი ვიყავი! მამაჩემის გათხრილ გვი-
რაბში ვტუცე თავი და საქათმეში აღმოვჩნდი. იქ ერთ ყვე-
ლაზე დიდს, ყველაზე მხუეესუნიანს ვტაცე პირი და გვი-
რაბში უკან-უკან შევფორთხდი. გარეთ ტანი კი გავიტანე,
მაგრამ თავი — ველარ, რადგან ჩემი თიმთიმა ლამაზო გვი-
რაბში გაიჭედა. რა იქნებოდა, რომ მამაჩემს, იმ კაი მელას,
ცოტა განიერი გაეთხარა! ჰოდა, ვარ ერთ გაწამაწიაში. უც-
ებ კუდზე ვიღაც დამეჭიდა და გამწია. მამა მეხმარება-მე-
თქი, გამიხარდა. ვეწიეთ, ვეწიეთ და, როგორც იქნა, და-
გვყვა ჩემი ნადავლი. მერე ეს ისე უცებ მოხდა, თითქოს
ბოთლიდან საცობი ამოაძრესო, მამაჩემს პირი გაეშვა, ის
ერთ მხარეს გადავარდა, მე — მეორე მხარეს, ვარიკას კი
პირი მაინც არ გავუშვი (რა ბიჭი გაუშვებდა!) წამოვხტი
ფეხზე და, აი, ახლა კი გავიქცეთ-მეთქი! — შევუძახე მამა-
ჩემს. შევხედე და... რის მამაჩემი, რა ბებიაჩემი, ტურტ-
ლიანი ქოფაკი არ არის! ბალანი აშლია, კბილები დაუკრე-
ჭია და ჩემი ნადავლი ვარიკას ტოლ თვალებს აბრიალებს.
უცებ წამოხტა და მეცა გაავებული, მაგრამ მე იქ აღარ ვი-
ყავი, უკვე ორღობეზე მივტიშავდი. შინ გულგახეთქილი
მივქაქანდი...

აჰა, ეს დორბლიანებიც მოქაქანდნენ“.

მელა გორაკის წვერზე წამოჯდა და მდევრებს ჩახედა.
ძაღლები გვირაბს ეცნენ და გაძრომა სცადეს, მაგრამ ნახ-
ვრეტი მათთვის მეტისმეტად ვიწრო აღმოჩნდა. ქოფაკე-
ბი სულ გადაირივნენ, გორაკის ძირში დაბორიალდნენ, ხან
აქეთ ეცნენ, ხან — იქით, მაგრამ ასასვლელი გზა არ იყო.
„ძეძვის კონა“ მშვიდად იჯდა, თავი გვერდზე გადაეგდო
და მდევრებს ცალი თვალით დამცინავად ჩამოსცქეროდა.

— კაი შტერები კი ხართ, — ჩამოსძახა, — ამოსასვლე-
ლი გზა რომ იყოს, ასე მშვიდად ვიქნებოდი?! თქვენ ტვი-
ნი ნამდვილად კუდში გექნებოდათ, მაგრამ ისიც მოუჭრი-
ათ და რა გეშველებათ, თქვე საწყლებო, არ ვიცი. ისე კი,
ახია — თქვენ რო კაი ძაღლები იყოთ, კუდს და ყურებს და-
გაჭრიდნენ?! თავგასიებულებო, უუუ!..“

მდევრები გორაკის ძირში ჩაცუცქდნენ და მელას საწ-
ყალობლად შეჰყმუვლეს. წითურა ისევ წამოგორდა, კუდი
აპრიხა და ქანქარასავით ააქანავა. ძაღლები მოქანავე კუდს
თვალს აყოლებდნენ, ხმადაბლა წკმუტუნებდნენ და ბოლში-
საგან ერთიანად ძაგძაგებდნენ.

„რაზე შევჩერდი? — განაგრძო ფიქრი მელამ. — ჰო,
შინ გულგახეთქილი მივქაქანდი, თიმთიმა ჭრელო დედა-
ჩემს ჩავაბარე და სიქაგაცლილი ხის ქვეშ გავილასტე.
ჩვენებს ჩემს დაგვიანებაზე, ოურმე, გულები დახეთქოდათ,
რომ გამოვჩნდი, დედაჩემმა სიხარულის ცრემლები გად-
მოყარა და მამას შეეხვეწა, ხელი არ ახლოო. კარგი, ხელს
არ ვახლებო, — შეჰპირდა მამაჩემი, — მხოლოდ ახლოდან
შევათვალიერებო. მოვიდა და გულდაგულ დამსუნა, რაიმე
ხიფათს ხომ არ გადაეყარაო. უცებ ჩემს კუდს მიაჩერდა,
აიღო, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ეს რა არისო? — მკითხა
და კუდის წვერი ცხვირის წვერთან მომიტანა. ზედ ერთი
კაი დიდი ბღუჯა ბალანი მაკლდა. მეტი რა ჩარა იყო, ავ-
დექი და მოვუყევი, რაც თავს გადამხდა. ურჩობა ასე არ
უნდაო, მამაჩემმა ეს დასახიჩრებული კუდი ამიწია და ერ-
თი „სააღმზრდელო“ ადგილზე იმდენი მირტყა, თქვენი
მოწონებული!

აი, ახლა გეკითხებით, დედაჩემს ხომ მისცა პირობა,
ხელს არ ვახლებო, მაშ რაღას მირტყამდა?! განა სიტყვით
ვერ მეტყოდა: ჩემო ლამაზო, ჩემო ჭკუით სავსე მელიკო,
მამის სიტყვის გადასვლა არ შეიძლება, თორემ უტყვოდ
დარჩებიო?“

უცებ ფიქრი სროლის ხმამ შეაწყვეტინა. მელა შეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა, თაგვი მიატოვა და მოუსვა.

— უხ, როგორ დავაცილე!.. რა უშნო ვარ! —გულმოსულმა მონადირემ მელას მეორე ლულიდანაც მიაყოლა საფანტი, მაგრამ ის უკვე შორს იყო.

წითურა ახლა ძველებურად მსუბუქად ველარ გარბოდა, ფერდი უხურდა, ცალ ფეხს გაბედულად ველარ ადგამდა, გზადაგზა აქა-იქ სისხლის წვეთები იღვენთებოდა, ამ კვალზე ძაღლებს ადვილად შეეძლოთ მისი პოვნა, მაგრამ მელას იმედი არ დაუკარგავს. ის, საერთოდ, იმედს არასოდეს კარგავდა. მან ახლაც იცოდა, თუ რა უნდა მოემოქმედა, ინსტიქტი და პირადი გამოცდილება კარნახობდა გამოსავალს. მელა გორაკიდან დაეშვა, ბაღები გადაჭრა, მდინარეში შეტოპა და ნაპირ-ნაპირ აღმა აუყვა. წყალში სიარული უფრო გაუჭირდა, სიპ ქვებზე ფეხი სხლტებოდა, ფერდის ტკივილმაც უმატა, მაგრამ, სამაგიეროდ, კვალს აღარ სტოვებდა. შორეული ყეფის ხმა მოესმა, მელამ ფეხს აუჩქარა. მალე „მისი“ კუნძულიც გამოჩნდა, დაბალი ბუჩქნარით დაფარული მიმალული კუნძული ნაპირთან ახლოს იყო, აქ წითურას ხშირად შეუფარებია თავი, როცა კი ხროვას გაურბოდა. ახლაც იქით გასწია, თავთხელი ადგილი გატოპა და ბუჩქის ქვეშ წამოწვა. მდინარის პირას გალექებული ხროვა გამოჩნდა, ქოფაკები აღმა-დაღმა დაბორიალებდნენ და მელას კვალს ეძებდნენ. წითურამ იცოდა, რომ ისინი მდინარეში არ შემოვიდოდნენ, ამიტომ შიშიც არაფრისა ჰქონდა და მშვიდად შეუდგა ფერდის ლოკვას — თავისი ექიმი თვითონ უნდა ყოფილიყო და იცოდა კიდეც, თუ რით უნდა მოერჩინა დაჭრილი ადგილი.

ფერდს დიდხანს ილოკავდა. სისხლისდენა მალე შეუწყდა, მერე კი, დაღლილსა და ტკივილისაგან განაწამებს, ჩასთვლიმა.

...„ძეძვის კონა“ ფერმის გამგედ დაენიშნათ. მისი ცხრა ფუმფულა შავთვალა გრძელ სუფრას მისხდომოდა, თავად სუფრის თავში წამომჯდარიყო და კმაყოფილი გასცქეროდა ქათმის ჩიჩიით გალაღებულ ნაშიერებს. თვალებბრიალა ყელყარყარა ვარიკები რიგში ჩამდგარიყვნენ და უზარმაზარ ხონჩებზე ხტებოდნენ. თავგასიებული ქოფაკები უკანა თათებზე დარბოდნენ და მელიკოებს ემსახურებოდნენ. ვარიკა ხონჩაზე მოიკალათებდა, ყეფია ხონჩას აიტაცებდა, მაგიდასთან თითის წვერებზე მინარნარდებოდა და უკვე შემწვარ-შებრაწულ, ქონის წინწკლების მფრქვეველ ვარიკას მელიკოებს მიართმევდა. ვარიკებს ჩხუბიც კი მოსდიოდათ, არა, მე უნდა შევხტე ხონჩაზე, და არა — მეო. ერთი ცისარტყელას ფერებით მორთული გრძელდეზებიანი მამალი მათ ძლივს აწყნარებდა და რიგს აწესრიგებდა. შებრაწული ვარიების შემხედვარე ყეფიებს ლაშებიდან ნერწყვი ღვარად გასდიოდათ. „ძეძვის კონა“ მათ დროდადრო გამოხრულ ძვლებს უყრიდა, ისინიც ჰაერშივე იჭერდნენ და მადლობის ნიშნად სამად იკაკვებოდნენ. როცა შავთვალა წითურებს ფუმფულა მუცლები გაფიცხებული დოლივით დაეჭიმათ და ძლივსღა სუნთქავდნენ, ყურ-კუდწაჭრილი ქოფაკები „ძეძვის კონას“ მისცდ-

ვივდნენ და ჰაერში შეგდება დაუწყეს, თან — „ჩვენს საყვარელ, ყველაზე ჭკვიან, ყველაზე კეთილ მელიკოს გაუმარჯოს!“ — აღტაცებულები ღავღავებდნენ.

ბოლოს ერთხელაც შეაგდეს და აღარ დაუჭერიათ. წითურა, რატომღაც, წყალში ჩავარდა. უცებ ყველაფერი გაქრა: ფერმაც, ქოფაკებიც, ფუმფულებიც... წითურა წყლიდან გამოსვლას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს, თითქოს შეუბორკავთო, ფეხები არ ემორჩილება...

მელამ თვალი ჭყიტა და მაშინვე ფეხზე წამოვარდა. მდინარე ადიდებულა, კუნძულზე შემოვარდნილა და მისი ქურქი ერთიანად დაუსველებია. წითურა ქვაზე შეხტა — ეს ერთადერთი ადგილია, სადაც წყალი ვერა სწვდება — და მიიხედ-მოიხედა. აუუ, ნაპირი რა შორს წასულა... რა ქნას, როგორ გამოვიდეს?

— იი, შეხე, მელა! — მოესმა გაოცებული შეძახილი.

— აბა, აბა, სად? — ბიჭები გაფიცხებული ქვიშიდან წამოხტნენ და მდინარეს გახედეს.

— აგე, უყურეთ, კუნძულზე დიდი ლოდი რო დევს!

— მართლა მელაა, ბიჭებოო!

— მანდ როგორ მოხვდა, ეგ საცოდავი...

— იი! საცოდავი არა!.. წამო, დავიჭიროთ.

— რა უნდა დაიჭირო, იცი, როგორი კბენა იცის?!

— მაშინ... — ბიჭი დაიხარა, ქვები წამოკრიფა და მდინარეში შეტოპა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს და მელას ალყა შემოარტყეს. ერთმა კი თქვა, ცოდოა, რას ერჩითო, მაგრამ ვინ უსმინა!

მელამ მოახლოებული ადამიანები რომ დაინახა, აწრიალდა, მდინარეშიც კი ჩახტა, იქნებ თავს ვუშველოო, მაგრამ ფეხით ფსკერს ვერ 'მისწვდა და ისევ ლოდზე აბობღდა. ერთმა უკვე ესროლა ქვა, მაგრამ სიჩქარეში დააცილა. ქვამ მელას თავზე გადაუზუზუნა და წყლის შხეფები მიაყარა.

„თუკი ჩემი შველა გინდათ, ქვები რაღად გიჭირავთ, ადამიანებო?! ნუ, ნუ მესვრით ქვას, აგრემც თქვენს დედებს გაუმრავლდებით! სოროში ცხრა შავთვალა ჰირდაღებული მელოდება, მე რომ მომკლათ, ხომ შიმშილით დაიხოცნენ! ოღონდ ნუ მომკლავთ და ვფიცავ, ქათამს ჰირს აღარ დავაკარებთ, თაგვებით გავალთ იოლას, ლამაზებო, ბუნჩულებო, თქვენს კეთილ გულს ვენაცვალე, ნუ მესვრით ქვას! ნუ! მეტკინება, ბიჭო, ძალიან მეტკინება!..“ — იძახდა მელა თავის ენაზე და ტიროდა, ტიროდა და ბიჭებს იმედისა და შიშის შერეული გრძნობით ელოდა.

მას ადამიანების იქით გასაქცევი აღარსად ჰქონდა.

...ეფექტურად ...ეფექტურად

ნინო ხარაზიშვილი

ახლა, როცა ზნეობრივად დაცემულ უჭირს საქართველოს, ასეთ ადამიანებს ხავსივით ვეჭიდები და მჯერა, თუ ერს გადარჩენა უწერია, ჩვენი გენის სწორედ ამ ყველაზე ჭანსაღმა, ყველაზე ფაქიზმა ფესვმა უნდა გადაგვარჩინოს.

ერთი თბილისელი კაცი მინდა გაგაცნოთ, ექიმი კაცი, ამ ქვეყნად თავის ბარობაზე სამი ყმაწვილი — ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი რომ დაუდის და სამივესათვის ქრისტიანთათვის უწმინდესი სახელები — ნიკოლოზი, მარიამი და ნინო დაურქმევია; ყოველთვის რომ იცის, რა უნდა, საკუთარი შესაძლებლობებით რას გაწვდება. გული საოცრად დიდი რომ აქვს და ყველასა და ყველაფრისთვის ჰყოფნის — შინაურებისთვისაც, პაციენტებისთვისაც, ქვეყნისთვისაც...

ზედიზედ რამდენიმე წელი იმუშავა დუშეთის რაიონის დაბა ყინვალის საუბნო საავადმყოფოში. ყინვალელებს ექიმად ბევრი ჰყოლიათ, მაგრამ მოსახლეობასაც და კაშხლის მშენებლებსაც უცნაურად მოუნახავს გული მუდამ რაღაც იდეით ანთებულმა და მუდამ რაღაცაზე მოკირკიტე ამ კაცმა და ალბათ მადლიერება უფრო იყო, საგარაკოდ მიწის ეს ნაკვეთი რომ აჩუქეს.

მშვენიერი კარ-მიდამო მოიწყო — ავი თვალისგან არდასანახი სახლი ჩადგა, თონე გამართა — კერიაზე მამაპაპურ ხმიადს აცხობენ... კიდევ უფრო მიიყვავილა სოფელმა, სახლიკაცად მიიღო, განა ქალაქელ მოაგარაკედ. ან კი სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო, როცა წყაროს წყალია და — ყრუხევის მთიდან, ერთ-ორ მოსახლესთან ერთად, სოფელს მან შემოუყვანა, ექიმის ხელია და — მისი მადლით არ აკლიათ, ხატობაა და — ჩინებულ მწათეობას უწევთ; ყოველ ქრისტიანულ დღესასწაულზე ერთად გადიან ხატისტუეში, ერთად ჭარდებიან მაყვლის ბუჩქის სიმაღლე ჭვართან, მისი ლოცვა-კურთხევითა და დამწყალობებით ანთებენ სანთელს. დღესასწაულის თადარიგს იჭერენ...

ლამაზი სოფელია ჩინთი — ეინვალელთა ახალი, არაგვსგაღმა სამოსახლო. გარეგნულად იქნებ ძველი ეინვალისა ცოტა აქვს, სული კი ისევ იმ წყალსაცავად ქცეული ალაგებისა ტრიალებს. გაუჭირდათ ახალმოსახლეობა ხახიაშვილებს, ჯარიაშვილებს, სისველაშვილებს, მაისურაძეებს, ჯაბნიაშვილებს, გორდეზიანებს, მოძმანაშვილებსა და ფიცხელაურებს. იმ ლურჯი ტბის ფსკერზე ჩალექილი წინაპართ საძვალეებისა და ტაძარციხეების დარდი აქამდე მოჰყვებათ. მაგრამ კაცი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მორევა ყოფილა თურმე.

ასე რომ, თავადაც მიხვდებით, ვის უფრო გაუხარდებოდა სოფელში, ქალაქიდან ამოსული ეს უცნაური კაცი ერთ მშვენიერ დღეს თავის ეზო-კარმიდამოში საკუთარი ხელით გაჭრილი მცირე ეკლესიის საძირკველში ჩამდგარი რომ დაინახეს. ეს მოხდა ზუსტად ორი წლის წინათ. უცებ გადაწყვიტა და უცებვე დაიწყო. თურმე საერთოდაც ასე სჩვევია. ჯერ არ მახსოვს, რაიმე ჩამეფიქრებინოს და მეორე დღესვე არ დამეწყოსო. ბედნიერი... ღმერთმანი. ბედნიერი თვისებებით შემკული კაცია თბილისის № 2 კლინიკური საავადმყოფოს ექიმი — ნევროპათოლოგი ბატონი ავთანდილ ადუაშვილი, კაცი კონკრეტული, საზრიანი, საქმიანი, თავისი მაგალითით მარტო შვილებს კი არა, სხვა გარშემომყოფთაც რომ უღვივებს შემოქმედებითი შრომის ინტერესს.

თითქმის ზურგით მოზიდა მთელი ეს სამშენებლო მასალა, მარტოდმარტომ ამოიყვანა ეს კედლები. ეკლესიის პერანგი აგურით გააწყო. იატაკი მოზაიკური ფილებით მოფინა. მხოლოდ გუმბათის დადგმისას წაიხმარა ხელოსნის ხელი. იმასაც ეცადა, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტრადიციების ჩარჩოში მოქცეულიყო.

მშვენიერი ეკლესია გამოუვიდა, დაახლოებით ხუთი მეტრი სიმაღლისა, ასე, თორმეტი კვადრატული მეტრის ფართობის. ახლა შიგნითა კედლების გალესვაზეა მიმდგარი. ერთი-ორი მხატვარი მეგობარი ჰყავს, აჩქარებენ, უნდა მოგიხატოთ და არ დაგვაგვიანოო.... შვილებიც ძალიან შეუამხანაგდნენ შრომაში. ხომ გოგოა და თანაც ნაბოლარა, ნინო, ლამის ინუინრული თვალი გამოაჩინა. მოვიდოდა და ეტყოდა, ნახე, მამი, რა კუთხის ქვა გიპოვნეო. წაუვებოდა, მოიტანდა და... მართლა აქ დაბადებულივით არ ჩაეკერებოდა ის ქვა კედლის კუთხეში?! ეამაყებათ შვილებს მამის მარჯვე კაცობა, მეუღლეც ხომ გულსავსედაა და გულსავსედ — მაღალი კედლის „ჩრდილში" ამოსული სუსტი ყვავილის სიამაყე და სილაღე აქვს. სოფელია და



— ექიმი კაცის ასეთი ხელმარჯვეობა კიდეც უკვირს — ხელის მადლს უქებს, გულის მადლს ულოცავს.

ამ გიორგობას უნდოდა ეკურთხებინა ეკლესიაცა და თავისი შინაურობაც. არ მოუხერხდა. მღვდლის ამოყვანა გაუჭანჭლდა, კიდევ რაღაც მსხვილმან-წვრილმანები. უკვე გადაწყვიტა, მარიამ ღვთისმშობლის სახელობაზე აკურთხებინოს. ღვთისმშობლის წილხვდომილ ჩვენს პატარა მიწას ვინძლო ერთ მადლად ესეც წაადგეს. ეგეც რომ არ იყოს, ქვრივ-ოხრობითა და წვრილშვილობით გალახული იმ თავისი საყვარელი ღვთისმოყვარული დედის სულიც იმქვეყნად აუმღერდება.

ბალღობიდან დაადო ხელი უფალმა. ხასიათიც ღვთისნიერი აქვს, ამდენი წლის მამაა, შვილებისთვის ერთი უბრალოდ არ შეუყვარია. არც სჭირდება. ისეც გონიერები გაიზარდნენ, ყოჩაღები, სწავლაშიც და ტექვა-სიმღერაშიც დედასავით მარჯვენი. ბიჭმა უკვე დაამთავრა საშუალო სკოლა, მარიკა და ნინო ჯერაც მოწაფეები არიან. შრომა ეხალისებათ, არც ნაკვეთში ხელის წაკვრას თაკილობენ, არც სხვა საოჯახო საქმეში. ჭკუას იშვიათად დაარიგებს ხოლმე, სიტყვით ნასწავლი სიკეთისა არაფერი სწამს. შვილი მაგალითით უნდა გაზარდო, და როგორადაც გინდა გექცეს, ისეთად ჯერ თავად უნდა დაენახვოო.

თითქმის ყოველ უქმეზე ჩინთში არიან. უფრო ხშირადაც, როცა გიორგობა, მარიამობა, ქრისტეშობა და აღდგომა წამოეწევათ. სოფლის მეორე მნათესთან, ოთარ ფიცხელაურთან ერთად გაჰყავს მთელი ჩინთი აქაურთა უწმინდეს სალოცავში — ხატისტყეში. ამიერიდან ალბათ მისი პატარა ეკლესიაც შეეხიდებათ.

ურდული არ დაადო... ღვთის სახლის ჩაკეტვა როგორ იქნებაო. მერე და მერე ხატ-ფრესკით რომ შეიმკობა, ალბათ გაშარავდება ღვთისმშობლის ამ პატარა ეკლესიისკენ მიმავალი ეს ბილიკიც. და ერთი იმედიცაა: ჩვენს დამხობამდე მისულ ზნეობას იქნებ ასეთი უცებ შარადქცეული ბილიკები მაინც წამოეშველოს.

ხურშუდი და კარაპეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასირიული ზღაპარი

მხატვარი იოსებ სამსონაძე

იყო ერთი მეფე, ერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად ხურშუდი. ერთხელ ხურშუდი ტყეში უცნაურ სახლს გადაეწყდა. იმ სახლში უამრავი ოთახი იყო, ერთ-ერთ ოთახში დევი იხილა დაბმული, რომელიც ოდესღაც მეფეს დაეტყვევებინა. ხურშუდმა იგი აუშვა, დევმა მადლობა გადაუხადა და თან უთხრა, მამაშენმა დამაბა და ჩამკეტა და თუ გაიგო, რომ შენ გამათავისუფლე, მოგკლავსო.

დაბრუნდა უფლისწული შინ, მამას კი არაფერი უთხრა. მაგრამ ერთხელ, როცა მეფემ სტუმრებს ნადიმი გაუმართა, მამასთან მივიდა და უთხრა, მამაჩემო, მინდა რაღაც გითხრა, ოღონდ არ გამიბრაზდეო. „განა ისეთი რა უნდა მითხრა, შენ ხომ ჩემი ერთადერთი შვილი ხარ, აბა, როგორ უნდა გაგიბრაზდეო?“ მაშინ ხურშუდი გამოუტყდა, ერთხელ, ტყეში რომ ვიყავი, ერთ სახლს მივადექი, იმ სახლში დაბმული დევი ვნახე და გავათავისუფლეო.

განრისხდა მეფე და ბრძანა, უფლისწულისთვის თავი მოეკვეთათ. ვეზირებს შეებრალათ ხურშუდი, ითათბირეს და მეფეს თხოვნით შებედეს, იქნებ ბრძანება შეცვალო და უფლისწულს სამეფოდან გაძევება აკმაროო. მეფეს გული მოუბრუნდა და მართლაც შეცვალა ბრძანება.

წამოვიდა გამოძევებული ხურშუდი და სხვა სამეფოსკენ გასწია. გზად წყაროსთან შეჩერდა და შესასვენებლად ჩამოჯდა. სად იყო და სად არა, ერთი კაცი მიუახლოვდა და ჰკითხა, ძმობილო, საით გაგიწევიაო.

— უცხო მხარეში მივდივარ, მამისაგან დასჯილი და გაძევებული, — უპასუხა ხურშუდმა.

კაცმა დაამხანაგება შესთავაზა. „დავამხანაგდეთო“, — დათანხმდა უფლისწული. ერთმანეთის სახელები გამოიკითხეს — კაცს კარაპეტი რქმეოდა — და ერთად გაუდგნენ გზას. ჩამოცხა, ხურშუდს მოსწყურდა და კარაპეტს სთხოვა, წყაროდან წყალი მომიტანეო. კარაპეტი წყაროსკენ დაეშვა, თვითონ მოიკლა წყურვილი, ხურშუდს კი არ მოუტანა წყალი. ხურშუდმა გაიკვირვა — წყალი რატომ არ მომიტანეო?

— მოდი, ჯერ სახელები გავცვალოთ და მერე მოგიტან წყალს.

ხურშუდი დათანხმდა, თვითონ კარაპეტი დაირქვა, კარაპეტმა კი — ხურშუდი. პირობის თანახმად, ნამდვილმა კარაპეტმა ნამდვილ ხურშუდს წყალი მოუტანა. უფლისწულმა წყალი დალია და სახელშეცვლილმა ამხანაგებმა გზა განაგრძეს. ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ სამეფოს მიადგნენ და მეფეს სამსახური სთხოვეს. მეფემ სახელები გამოკითხა. კარაპეტმა უთხრა, მე ხურშუდი მქვია, ჩემს ამხანაგს კი — კარაპეტიო. მეფემ ისინი მწყემსებად გაამწესა და ცხვარ-ძროხა ჩააბარა.

ამ მეფეს ერთი ქალიშვილი ჰყავდა. ერთხელ მეფის ასულმა სიზმარში ხურშუდი ნახა, თან ხმა ჩაესმა: იცოდე, მეფის ასულო, ეს კაცი კარაპეტი კი არა, ხურშუდიაო. გამოეღვიძა გაოცებულს და ხურშუდს უთხრა, შენ კარაპეტი კი არა, ხურშუდი გქვიაო. ხურშუდი შეკრთა, მაგრამ არ გამოტყდა, არაფერიც. მე კარაპეტი ვარო.

ერთხელაც, როცა ხურშუდი საქონელს აძოვებდა, შორიახლო ეტლმა ჩაიქროლა. ეტლში ერთი ქალი იჯდა. ქალმა ხურშუდი დაინახა და თავისთვის ჩაილაპარაკა, ეს კაცი ნამდვილად ხურშუდია და მინდა, სიკეთე რამ გავუკეთოო, ასანთის ორ კოლოფს მივცემო. ასეც მოიქცა. ხურშუდმა მადლობა გადაუხადა და კოლოფები ჯიბეში ჩაიწყო. ქალი წავიდა, ხურშუდი კი ისევ საქონელს მიუბრუნდა.

ის იყო, ეტლი თვალს მიეფარა, რომ საძოვრების ზედამხედველი დაადგა თავზე და მოსთხოვა, ერთი ცხვარი დამიკალიო. რას იზამდა, ადგა და დაუკლა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა, მესამე დღესაც. ასე გრძელდებოდა ყოველდღე.

ერთხელაც იყო, მეფის ცხენზე ამხედრებული კარაპეტი გამოეცხადა საძოვარზე ხურშუდს, შეესწრო, როგორ კლავდა იგი ცხვარს. გაბრაზდა, ამხანაგი გაკიცხა, ამას რასა შვრებიო. იჩხუბეს და ჩხუბში ხურშუდმა მათრახი მოიქნია, მეფის ცხენს ზურგზე გადაუტყლაშუნა და ხერხემალი გადაუტეხა.

დაბრუნდა კარაპეტი და ყველაფერი მეფეს ჩაუკაკლა. მეფემ „კარაპეტის“ დაჭერა ბრძანა. ბრძანება შეასრულეს, ოღონდ, ცხადია, ციხეში ხურშუდი აღმოჩნდა.

ერთხელ ამ მეფეს მეზობელი სახელმწიფოს მბრძანებელი ეწვია და მისი ქალიშვილის ხელი სთხოვა. მეფემ კარაპეტს უთხრა, რა ვქნა, მე შენთვის მინდოდა ჩემი ქალიშვილი, მაგრამ... თუ შენ იმ მეფეს დაამარცხებ, ჩემი ასულიც შენ დაგრჩება, თუ არა და, იძულებული გავხდები, მას გავაყოლოო. კარაპეტი დათანხმდა და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შებმოდა მეფის ასულის ხელის მაძიებელ ხელმწიფეს. წაიყვანა ხალხი და საბრძოლველად წავიდა. ციხიდან გამოუშვა ხურშუდი და ისიც თან წაიყვანა. რომ გაუჭირდა, ხურშუდმა ჯი-

ბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო, გახსნა და იქიდან ცხენებზე ამხედრებული, თოფ-იარაღიანი მეომრები ამოვიდნენ და ბრძოლაში ჩაებნენ. ერთიანად გაწყვიტეს მტრის ჯარისკაცები და ისევ კოლოფებში ჩაძვრნენ.

კარაპეტმა ხურშუდი ციხეში დააბრუნა, თვითონ კი, ძლევამოსილი, მეფეს ეახლა და მოახსენა, მოწინააღმდეგის ჯარს ბდღვირი ავადინეო.

გამოხდა ხანი და კარაპეტის მეტოქემ ისევ წამოიწყო ომი. ამჯერად მეფემ თვითონ ისურვა ჯარის სარდლობა და მტრისკენ დაიძრა.

კარაპეტმა ისევ გამოიყვანა ციხიდან ხურშუდი და ომში ჩაა ბა. ისევ ამოიღო ასანთის კოლოფები ხურშუდმა, ამოვიდნენ იქიდან ჯარისკაცები და ხურშუდთან ერთად მტერს ეკვეთნენ. ბრძოლაში ხურშუდი ხელში დაიჭრა. მეფემ თავისი ხელსახოცით შეუხვია ჭრილობა. ხურშუდის ჯარისკაცებმა ისევ დაამარცხეს მტერი. სასახლეში დაბრუნებულმა მეფემ თავის ასულს უამბო გამარჯვების ამბავი და ისიც დასძინა, ეს კარაპეტი რა გულადი ყოფილაო, მისი დაჭრის ამბავიც აუწყა. მაშინ კი ვეღარ მოითმინა მეფის ასულმა და უთხრა, ეგ კარაპეტი კი არა, ხურშუდიაო.

გაოცდა მეფე, ვერ დაიჯერა. თუ ასეა, მოდი, ანე მოვიქცეთო, — უთხრა თავის ასულს, — დილით, როცა გულადი ჭაბუკი ხელ-პირს დაიბანს, ჩემი ხელსახოცი გამოართვიო. მეორე დილით, ჩვეულებისამებრ, ხურშუდმა ხელ-პირი დაიბანა და შესამშრალებლად მეფისეული ხელსახოცი ამოიღო.

მეფის ასულმა იცნო მამის ხელსახოცი, გამოართვა და მამას უჩვენა. მეფე დარწმუნდა თავისი ასულის სიმართლეში. მიხვდა, რომ კარაპეტმა გაიმარჯვა მტერზე და ბრძოლაშიც ის დაიჭრა. მაშინ ხურშუდმა უთხრა: — ჩემი წამდვილი სახელია ხურშუდი. ხოლო იმ ახალგაზრდას, მეფეს რომ გმირად მიაჩნია, კარაპეტი ჰქვიაო.

მიხვდა მეფე თავის შეცდომას და ხურშუდის გათავისუფლება ბრძანა. ხოლო როცა ჭაბუკის სხვა ვაჟკაცურ თვისებებშიც დარწმუნდა, ასულიც მას მიათხოვა. კარაპეტი, როგორც გაიძვერა და ბოროტი, ქვეყნიდან გააძევეს.

თარგმნა იონა გადაგიძემ

● ცხოველთა შორის ყველაზე ხწრაფად დარბის გეპარდი (წონა — დაახლოებით 45 კგ.) — მისი სიჩქარე ხაათში 135 კილომეტრია.

● ყველაზე გრძელი ეშვი აქვს კენიურ ხპილოს — 8,5 მ ეშვის სისქე 47 სმ-ია, წონა — 132,9 კგ.

● მორეის ეშვის სიგრძე 95,2 სმ-ია, სისქე — 27,8 სმ, წონა — 4, 9 კგ.

● ლოკოკინას სიჩქარე ხაათში 58 სანტიმეტრია.

● ბუზი ფრენისას წუთში 57 ათასჯერ აქნევს ფრთას.

● კენგურუს „ხარეკორდო" ნახტომის სიგრძე 12,8 მ-ია.

● ალბატროსის გაშლილი ფრთების სიგანე 3,7 მ-ს აღწევს.

● ფრინველთაგან 100 წელზე მეტს მხოლოდ ყვავი და კაკადუ ცოცხლობენ.

● ფრენის სიშორის რეკორდი ალბატროსს ეკუთვნის — ერთმა მათგანმა დაუჯდომლად გადაიფრინა 8880 კმ — ფილიპინებიდან კუნძულ მიდუეიმდე (წყნარი ოკეანე)

● ფრენის სიმაღლის რეკორდი ფრინველთაგან გარეულ ბატს ეკუთვნის — 1919 წელს ინდოეთის თავზე, 17676 მეტრის სიმაღლეზე, შეხვედრილ 12 ბატი.

● ტრანსპორტის ჰმაური მამაკაცებზე მეტად ქალებს აწუხებს.

ცოგ-ცოგა ყველაფერზე...

ხეები ბანკში

იაპონიის ქალაქ სოძიას ერთ-ერთ ბანკში ინახავენ... ხეებს. როცა მსხვილი მშენებლობის დროს მშენებლები იძულებულნი არიან, ხე და ბუჩქი ამოთხარონ, ისინი დროებით ბანკში მიაქვთ. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მწვანე ნარგავებს ან ისევ იმ ადგილზე, ან ახლომახლო რგავენ.

სხვადასხვა ხალხი — სხვადასხვა სიმბოლოები

ზოგიერთი გაუგებრობის ასაცილებლად, კარგად უნდა შეისწავლო სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციები და ჩვეულებები.

ჩვენთვის მწვანე ფერი ბუნების სილამაზესთან, ჯანმრთელობასთან, სიხალისესთანაა დაკავშირებული. ტროპიკულ ქვეყნებში კი ეს ფერი ავადმყოფობის ასოციაციას იწვევს. არაბეთის ქვეყნებში მწვანე მოსწონთ, ისლამური ინდონეზიის ზოგიერთ რაიონში კი იგი ძალზე არაპოპულარულია. შავიც არ ითვლება ყველგან სამგლოვიარო ფერად. აზიის მრავალ ქვეყანაში გლოვის ფერი — თეთრია, ბრაზილიაში — ალისფერი, მექსიკაში კი — ყვითელი.

ეკოლოგიური კოოპერატივი

ასეთი კოოპერატივი მალე დაიწყებს მუშაობას იაპონიის სიგას პრეფექტურაში. იგი გამოუშვებს მხოლოდ ისეთ ნაწარმს, რომელიც ბუნებას ზიანს არ მიაყენებს — უფრეონო აეროზოლებს, მაკულატურისაგან დამზადებულ რვეულებს, ბლოკნოტებს, საფოსტო მარკებს. კოოპერატივი მოსახლეობისგან თვითონ შეაგროვებს მეორად ნედლეულს.

როცა კოალა დიდი იყო

ვინ დაიჯერებს, რომ ეს პატარა ფაფუკბეწვიანი ცხოველი ოდესღაც ერთი მეტრის სიმაღლის იყო და 80 კილოგრამს იწონიდა!

ინგლისელმა მეცნიერმა გრეგ პილკინგტონმა ავსტრალიის ქალაქ ადელაიდის დასავლეთით გაქვავებული კოალას ნაშთი აღმოაჩინა. ეს ცხოველები, რომლებიც მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ, ევკალიპტის ხის ფოთლებით იკვებებოდნენ. ტოტები მათ სიმძიმეს ვერ უძლებდა და კოალები იძულებულნი იყვნენ საკმელი მიწაზე ეძებნათ. გადაშენებას გვალვამაც შეუწყო ხელი, დარჩნენ მხოლოდ პატარა კოალები.

იავნანა უფრო სანდოა

გერმანიის ქალაქ გეტინგენის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მოხალისეებზე ძილის საშუალებათა ეფექტურობა გამოსცადეს. მათ საძილე პრეპარატებთან ერთად ძველებური იავნანების მაგნიტოფონური ჩანაწერები გამოიყენეს. მათდა გასაოცრად, სწორედ ჩვეულებრივმა იავნანებმა იმოქმედა უფრო ეფექტურად ადამიანებზე და ღრმა, მშვიდი ძილით დააძინა ისინი.

ფერადი წებო

თუ თქვენ შპალერის გაკვრა გიცდიათ, ნამდვილად გაგიჭირდებოდათ მასზე წებოს თანაბრად წასმა: ზოგან სულ არ ემჩნევა, ზოგან კი იმდენია, რომ ქაღალდი იბურცება. ინგლისელი სტივენ ჰემბერსტოუნი ამტკიცებს, რომ ეს წებოს უფერულობის გამო ხდება. მან ფერადი წებო გამოიგონა, რომელიც გაშრობისას ბაცდება.

გამომგონებელმა შპალერის წებოს საგანგებო საღებავს ფხვნილი და წყალი დაუმატა, ფერი თანდათან მკრთალდება და რამდენიმე წუთში სულ ქრება.

თვითონ გამოსცადე

ერთი რეკლამირებული კოლოს საწინააღმდეგო საშუალების არაეფექტურობის გამო შემოსული მრავალრიცხოვანი საჩივრების საფუძველზე ვესტმინსტერის საპატენტო ბიუროს დირექციამ ექსპერიმენტი ჩაატარა. სამ ექსპერტს, რომლებმაც ეს საშუალება წარმოებაში დანერგეს, შესთავაზეს საკუთარ თავზე გამოეცადათ იგი. პრეპარატი ამჯერადაც უვარგისი გამოდგა და მოსამსახურეები დამსახურებულად დაისაჯნენ — კოლოებმა მწარედ დაკბინეს ისინი.

ხბოები მეცნიერების ისტორიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, ეს ოთხი ხბო ტეხასის შტატიდან ამერიკული მეცნიერების ისტორიაში შევა. ისინი გენური ინჟინერიის სპეციალისტთა ჩარევის შემდეგ მოევლინენ ქვეყნიერებას. მეცნიერებმა სხვა ცხოველებისაგან აღებული გენები გადანერგეს ხბოთა ქრომოსომებში და ვარაუდობენ, ამით ცხოველის წონის ზრდასთან ერთად მათ ხორცში ცხიმის შემცველობის შემცირებასაც მიაღწევენ, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს პროდუქტის ხარისხს. თუ ბიოლოგთა ეს პროგნოზები დადასტურდა, მეცხოველეობის განვითარებაში დიდი ნახტომია მოსალოდნელი.

გენურმა ინჟინერიამ უნდა უზრუნველყოს რძისა და ხორცის ხარისხის გაუმჯობესება.

უილბლო ოთხიანი

შორეულ, აღმოსავლეთის ხალხებში ციფრი ოთხი უიღბლოდ მიიჩნევა, ალბათ იმიტომ, რომ ჩინურად იგი ერითმება სიტყვა „სიკვდილს". ბუნებრივია, რომ იქ არც სახლი № 4 არსებობს. იაპონიაში, მაგალითად, ვერ შეიძენ 4 ნივთისაგან შემდგარ ნაკრებს, ვთქვათ, 4 კოვზს ან 4 ჩანგალს. ციფრ ოთხს მხოლოდ მათემატიკის გაკვეთილზე თუ წარმოთქვამენ.

ეს საკითხი კორეის ატომური ენერგიის სოლიდურ კომისიასაც აწუხებს. ორი მოქმედი რეაქტორისათვის უნდა დაემატებინათ კიდევ ორი, ცხადია, ოთხი გამოვიდოდა. ნურას უკაცრავად! ბოლო რეაქტორს მეთოთხმეტე, ხოლო ბოლოსწინა რეაქტორს მეცამეტე უწოდეს. მსოფლიოში კი (მით უმეტეს, ევროპასა და ამერიკაში) თარხად მიაჩნიათ რიცხვი 13. როგორც იტყვიან, ყველას თავისი კაპრიზი აქვს.

ცოგ-ცოგა ყველაფერზე...

მამუკა ვაშაკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ქარტეთ შვიდი საოცრება

შესაზღვროა ადამიანის ფანტაზია. რა სახის საოცრება არ შეუქმნია მის ხელს ეხლოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე! დღესაც გვაოცებს ანტიკური ხანის ბიბანტური ნაგებობები. იმ დროისათვის, როდესაც საშუენებლო ტექნიკა დღევანდელთან შედარებით პრიმიტიულად გამოიყურებოდა, ადამიანის ხელმა შექმნა როდოსის კოლოსი და ეგვიპტის დიდი პირამიდა, ალექსანდრიის შუქურა და არტემიდეს ტაძარი ეფესოში, ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში, ბაბილონის დაკიდებული ბაღები და ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმი.

სწორედ ეს სწორუპოვარი ქმნილებები შეარჩია ფილონ ბიზანტიელმა და დღევანდელობას შემოუნახა მსოფლიოს შვიდი საოცრების სახელით. უველა ეს ქმნილება ანტიკურ ეპოქაშია აგებული და დღესაც ანცვიფრებს მნახველს არქიტექტურული სიდიადითა და საინჟინრო პროფესიონალიზმით. მართალია, ამ საოცრებათა უმეტესობა არ შემონახულა, მაგრამ გადმოცემებისა და ისტორიული წყაროების საშუალებით მაინც ნათლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მათი სიდიადე.

ჩვენ ტექნიკის საუკუნეში ვცხოვრობთ. თანამედროვე ადამიანს ძნელად თუ გააკვირვებთ ლამაზი და გრანდიოზული ნაგებობებით. ამიტომაც მსოფლიოს მრავალ კუთხეში ცდილობენ გამოძებნონ და ექვივალენტი მოუნახონ მსოფლიოს შვიდ საოცრებას, მაგრამ ანტიკურ ნაგებობებთან გაჯიბრება ძალზე ძნელია.

ამის დასტური იყო საამოძალაძო ინჟინერთა ამერიკული საზოგადოების ცდა. მოენახა თანამედროვე მსოფლიოს შვიდი საოცრება. კონკურსის შედეგად „გამარჯვებულებიც" გამოვლინდნენ: ჩიკაგოს წყალსაცავთა განმანაწილებელი სისტემა, პანამის არხი, მდინარე კოლორადოს აკვედუკი, სან-ფრანცისკო-ოკლენდის ხიდი, ემპაირ სტეიტ ბილდინგი (ნიუ-იორკში), კოლუმბიის წყალსაცავთა პროექტი, ჰუვერის ჯებირი. უოველი მათგანი საინჟინრო სასწაულია. მაგრამ რამდენი ადამიანიც ცხოვრობს დედამიწაზე, იმდენნაირი გემოვნება არსებობს და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებობს ამდენივე „მსოფლიოს საოცრებაც". განა საოცრება არ არის ჩვენი ვარძია ანდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი? განა უნიკალური ნაგებობა არ არის რადიოტელესკოპი ჯოდრელის პირას ან წყალქვეშა გვირაბი ლა-მანშის ფსკერზე, როგელიც სულ მალე ჩადგება მწყობრში? ანდა ქალაქი პალმირა სირიაში და მეფეთა ველი ეგვიპტეში, მინოსის სასახლე კრეტაზე და თებეს ნეკროპოლი? ასე რომ, გემოვნებაზე არ დაობენ.

ჩვენ შემოგთავაზებთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მიმოგნეულ არქიტექტურულ მარგალიტებს. მათი საოცრებათა სიაში შეტანა კი თქვენთვის მოგვინდვია.

ფატეჰპურსიკრი

დედამიწაზე მრავალი მიტოვებული ქალაქია, რომლებიც მხოლოდ ღამურებისა და ქვეწარმავალთა სამფლობელოდ ქცეულან, ჩაკარგულან ინდოეთისა თუ სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში, აფრიკისა თუ წინაასიის უდაბნოებში. ჩამქვდარა სიცოცხლე, მხოლოდ ქვასა და შენობებს შერჩენიათ გრანდიოზულობა და ძველი სიდიადე. ზოგი საერთოდ აღგვილა პირისაგან მიწისა და მარტო ლეგენდებში თუ ცოცხლობს, ზოგი ახლაც იპყრობს ტურისტთა ყურადღებას.

ერთ-ერთი ასეთი საოცრება-ქალაქია ერთიანი ინდოეთის დედაქალაქი, ქვეყნის ჩრდილოეთში ოთხასი წლის წინ აგებული, აღმოხავლეთის მარგალიტად და დიდ მოგოლთა სამეფოს ცენტრად წოდებული ფატეჰპურსიკრი.

ისტორიული წყაროებით, ქალაქის დამაარსებელი ყოფილა ინდოეთის ძლევამოსილი მბრძანებელი, რწმენით მუსულმანი, წარმოშობით სპარსელი აკბარი, ძე ჰუმაიუნისა.

დიდი მბრძანებელი ინდოეთისა აკბარი იმ წელს დაბადებულა, როდესაც მამამისს, ჰუმაიუნს, დიდი ბაბურის ძეს, ლაშქრობაში მარცხი უწვნევია და ინდოეთიდან სპარსეთს გადახვეწილა. თხუთმეტი წლის შემდეგ დაუბრუნებია ინდოეთის ტახტი ჰუმაიუნს, წლისთავზე კი ხული ალაჰისთვის მიუბარებია და მთელი თავისი ავლადიდება სამეფო ტახტითურთ თექვსმეტი წლის აკბარისათვის მიუთვლია. მუსულმან აკბარს ინდოელი ქალი, რაჯა ამბერას ქალიშვილი შეუთავსებია, გვერდითაც ინდოელნი შემოუკრებია, მოკავშირედაც ინდოელი ტომის ბელადები გაუხდია და მუსულმანური რწმენა და მუსულმანობაც, ფაქტობრივად, დაუკარგავს. ისტორია იმასაც გვამცნობს, რომ ბრძოლებსა და ლაშქრობებში ნაადრევად დაბრძენებულ და დავაუკაცებულ აკბარს ინდოელებთან ურთიერთობითა და კეთილმეგობრული დამოკიდებულებით მთელი ინდოეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შეხაძლებლობაც მიხცემია და ამით ისტორიის მიბნედილ და გაცრეცილ ეტრატებში უძლეველ აკბარად შეხვლის პატივიც რგებია წილად.

მაგრამ იმასაც არ ივიწყებს მემატიანე, რომ ნაღველიც შემოხწოლია თურმე ყოვლისმპყრობელს, სწავლა სურდა და უსწავლელი დარჩენილა, ახალგაზრდობაში დროსტარება სურდა და ლაშქრობებში ხეტიალმა უწია. ინდური ფილოსოფიისა და რელიგიის შეცნობამოწყურებულს მუსულმანური ხარწმუნოების დოგმებმა შემოუკრა. ამიტომ, ჩვენი მეფე გიორგისა არ იყოს, სპარსელნი ინდოელს ეძახდნენ და ინდოელნი — სპარსელს.

ინდოეთის სამეფოს დედაქალაქი იყო ქალაქი აგრუ. ჭირის დღესავით სძულდა აკბარს სამეფოს მთავარი ქალაქი. ტუუპი ვაეიშვილი დაეღუპა და ამას დედაქალაქს აბრალებდა. მახლობელ სოფელში ერთი განდეგილი წინასწარმეტყველი ცხოვრობდა. მან აკბარს ვაეიშვილის შეძენა და ბედნიერი ცხოვრება უწინასწარმეტყველა. მბრძანებელმა მეუღლე განდეგილის სოფელში გაამგზავრა. აქ, სულ მალე, მართლაც შეეძინათ ჯანმრთელი ვაეი.

სწორედ აქედან იწყება ფატეჰპურსიკრის ისტორია. აკბარმა გადაწყვიტა, განდეგილის პატივსაცემად სამეფოს დედაქალაქი აგრუდან განდეგილის სოფელში გადაეტანა. არარსებულ ქალაქს ფატეჰპურსიკრი უწოდეს.

თოთხმეტ წელიწადს აშენებდნენ ინდოეთისა და სპარსეთის ცნობილი არქიტექტორები და მშენებლები ქალაქს. მკაცრად იყო დაცული მშენებლობის გეგმა და რიტმი. ქალაქი დააგეგმარეს სხვადასხვა დონეზე, რისთვისაც გამოყენებული იყო ბუნებრივი, მთიანი რელიეფი; ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი ვაკეს მიუყვებოდა და რკალივით ჭყოფდა ქალაქს შუაზე. ფატეჰპურსიკრს უზარმაზარი, სამოცი მეტრის სიმაღლის ქვის კარი შეაბეს, რომელსაც ქვის ზღუდეები მიჰყვებოდა ორივე მხარეს.

ქალაქში შესულს წინ უზარმაზარი მოედანი დაგხვდებათ, რომელსაც ირგვლივ კილომეტრის სიგრძეზე მიუყვება ქვის გალერეები. ისინი ერთმანეთს კვეთენ ცაში ატყორცნილ მეჩეთთან, რომელიც აკბარმა ააგებინა განდეგილი წინასწარმეტყველის საპატივცემულოდ; სწორედ ამ მეჩეთის გვერდით არის დაკრძალული წინასწარმეტყველი.

ქალაქში უამრავი მოედანია, ქუჩების სიმრავლე აოცებს მნახველს. ერთ-ერთ მოედანზე დგას ორგუმბათიანი, მდიდრული ორნამენტითა და ჩუქურთმებით გაწყობილი ბირბალას სახახლე. ეს კაცი ხელმწიფემ სახახლეში მოიწვია მინისტრად და კარის პოეტად. შემდეგ კი ეს მშვენიერი სახახლეც უბოძა. აღმოსავლური წესით, მეფის ყოველ მინისტრს უნდა მიეღო ორთაბრძოლებში მონაწილეობა. სწორედ ერთ-ერთ ორთაბრძოლაში დაიღუპა ბირბალაც. მისი სახახლე დღესაც მშვენივრად არის შემონახული.

დედაქალაქში იყო სადისკუსიო სახახლე. მემატიანეთა გადმოცემით, აკბარს უყვარდა სხვადასხვა რელიგიებისა და სხვადასხვა მრწამსის პიროვნებების მოწვევა და მათი პაექრობის მოსმენა; იგი თვითონაც ბშირად ებმებოდა დისკუსიაში. აქ იწვევდნენ ბუდისტ, ქრისტიან, მუსულმან თეოლოგებს, იმართებოდა დისპუტები. ამბობენ, ვერცერთ რელიგიაში ჯეშმარიტება რომ ვერ დაინახა, აკბარმა ეს ულამაზესი სახახლე დაანგრევინაო.

გაოცებას იწვევს მეფის მისაღები დარბაზი უზარმაზარ სახახლეში. დარბაზის შუაგულში მოთავსებულია სოკოს მსგავსი კაპიტელი, რომლიდანაც სხვადასხვა მიმართულებით, გამოდის ხიბვების მსგავსი ხიდები. გადმოცემით, აკბარი მთხოვნელთა მიღებისას კაპიტელზე ჯდებოდა, ხოლო მისი მინისტრები სწორედ ამ ხიბვებზე იყვნენ განლაგებულნი.

ქალაქში იყო შესანიშნავად ნაგები ბიბლიოთეკა, რომელიც ერთ-ერთ უმდიდრესად ითვლებოდა შუა საუკუნეების აღმოსავლეთში. იგი ითვლიდა ოცი ათასზე მეტ ტომს, რომელთა უმრავლესობა გადაწერილი და ილუსტრირებული იყო სწავლასმოწყურებული იმპერატორის მოთხოვნით. თვით აკბარი წერა-კითხვის უცოდინარი იყო და სპეციალურად მოწვეული „მკითხველნი" გვიან ღამემდე უკითხავდნენ „ბრძნულ სტრიქონებს".

აკბარს რამდენიმე ცოლი ჰყავდა, როგორც ინდოელნი, ისევე მუსულმანებიც. ქალაქში შემორჩენილია გემოვნებით ნაგები სახახლეები იმპერატორის ცოლებისათვის. ერთმანეთისაგან ადვილად გაარჩევთ, რომელი სახახლე ეკუთვნოდათ მუსულმან დედოფლებს და რომელი — ინდოელებს.

ქალაქი მშრალ ადგილასაა აგებული. არქიტექტორებმა თავიდანვე იზრუნეს წყალმომარაგების პრობლემაზე. ქალაქის შორიახლოს შექმნეს ხელოვნური ტბა, საიდანაც წყალი თავს იყრიდა სპეციალურ რეზერვუარებში, იქიდან კი არხებისა და მილების საშუალებით, გაფილტრული სახით მიეწოდებოდა ქალაქს. ქალაქის ქვეშ მოწყობილი იყო მიწისქვეშა წყალსაცავი. ქალაქი და მისი შემოგარენი მწვანეშია ჩაფლული; დედაქალაქის გამწვანებას სულ რამდენიმე წელი დასჭირდა — ტროპიკებში ხეები სწრაფად იზრდება.

რა მდგომარეობაშია დღეს აღმოსავლეთის მარგალიტი?

თოთხმეტი წელი შენდებოდა და მშვენდებოდა ერთიანი ინდოეთის ახალი დედაქალაქი. ვარდისფრად ელავდა მარმარილოთი მოპირკეთებული შენობები. უძლეველი იმპერატორის ბრძანებით, არქიტექტორებმა ისე დააპროექტეს ქალაქი, რომ არცერთი შენობა ერთმანეთს არ ჰგავს — სულ სხვადასხვაა სტილი, ერთმანეთისაგან განსხვავებულია არქიტექტურა. თვალს გჭრით უნიკალური ჩუქურთმები, მოზაიკები, ჭანდაკებები. დიახ, თოთხმეტი წელი შენდებოდა ფატეჰპურსიკრი და ერთ წელიწადში დაცარიელდა, გაუკაცურდა. ჩამავალი მზის სხივი კიაფობს მარმარილოთი მოპირკეთებულ ქონგურზე და უკანასკნელი ტურისტიც ტოვებს ინდოეთის ჩრდილოეთში მიტოვებულ დედაქალაქს. დღემდე არ ვიცით, რატომ მიატოვა ხალხმა არქიტექტურის ეს საოცრება. ვარაუდობენ, ალბათ, წყლის რეზერვუარების მოშლამო. მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოს, აკბარს ხომ ჰყავდა საუკეთესო ინჟინრები, რომელთაც შეეძლოთ დამატებითი არხების აგება!



ჭადრაკი

განუფიცილებას ხელმძღვანელობს საქართველოს და სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელი
ზოთა ინწკირველი

50-იანი წლების დასაწყისში ზედიზედ მოხდა სამი მნიშვნელოვანი მოვლენა: 1. 1950 წლის შემოდგომაზე 17 წლის ბუხუტი გურგენიძემ პირველად მოიპოვა თბილისის ვაუთა ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება და მესამე ადგილი დაიკავა. ამ შედეგისთვის მას ოსტატობის კანდიდატობა მიენიჭა, რაც ამ ასაკში ძალზე იშვიათად ხდებოდა. 2. 1953 წელს საქართველოს ჭადრაკოს ცხოვრების ასპარეზს დაუბრუნდა მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, საერთაშორისო ოსტატი და ნიჭიერი ორგანიზატორი ვიქტორ გოგლიძე (1905-1964 წ. წ.). პირველი ქართველი და პირველი ეროვნული ოსტატი საბჭოთა კავშირში. 3. იმავდროულად ამობრწყინდა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ჭადრაკო ცის კაბადონზე დღემდე მბრწყინავი ვარსკვლავი, გენიალური ნონა გაფრინდაშვილი. სწორედ ამ სამეულმა განაპირობა ჭადრაკო კულტურის არნახული აღმავლობა საქართველოში.

შემოქმედებითი სითამამე

ერთ-ერთი მთავარი თვისება, რომელიც გამოარჩევს ბუხუტი გურგენიძესა და ნონა გაფრინდაშვილს თავიანთი წინამორბედებისაგან, შემოქმედებითი სითამამეა. ჩემს პირად არქივს შემორჩა ბუხუტი გურგენიძის შემოქმედების ადრეული პერიოდის რამდენიმე პარტია, რომლებიც უცნობია თანამედროვე საზოგადოებისათვის. ამჯერად გთავაზობთ ერთ მათგანს. გათამაშებულს 1951 წლის დასაწყისში საქართველოს XII ჩემპიონატში საქართველოს 1950 წლის ჩემპიონ ალექსანდრე ბლაღიძესთან. ამ ზედმიწევნით რთულსა და კომბინაციურ პარტიაში ჭაბუკი ბუხუტი გურგენიძე წარმოგვიდგება „ბრძოლასა შინა შემმართებელ" ბრწყინვალე იმპროვიზატორად. იგი თვითმყობადი მოჭადრაკეა.

ნორჩ მოჭადრაკეებს ვურჩევთ, გულდასმით შეისწავლონ ეს პატარა და, საერთოდ, ბუხუტი გურგენიძის მდიდარი საჭადრაკო მემკვიდრეობა, გაეცნონ და შეისწავლონ თამაშის შექმნის ხელოვნება (ჩემი დაუინებული თხოვნით ოცდაათი წლის წინათ დაწყებული წიგნის — „ბუხუტი გურგენიძის რჩეული პარტიები" — დამთავრებას დღემდე საშველი არ დაადგა).

გურგენიძე — ბლაღიძე. ესპანური პარტია. თბილისი, 1951 წელი. 1. e4 e5 2. ∎f3 ∎c6 3. ⚘b5 a6 4. ⚘a4 d6 5. ⚘:c6 b:c6 6. d4 f6 7. ⚘e3 ∎e7 8. ∎c3 ∎g6 9. ♗d2 ⚘e7 10. h4 h5!

ეს საუკეთესო სვლაა, რომლის შემდეგ თეთრებისათვის შეუძლებელია მეფის ფრთაზე აქტიური ოპერაციების გაშლა.

11. 0—0—0 ⚘g4 12. ♗dg1 ♗c8 13. ∎e1

ახლა გამოირკვა, რომ g4-ზე კუ ცუდად დგას. გურგენიძე f და g პაიკების წინსვლით მეფის ფრთაზე საიერიშოდ ემზადება, მაგრამ ამ განზრახვის ჩასაფუშავად შავებს საკმაო რესურსები მოეპოვებათ.

13... ♗h7 14. f3 ⚘e6 15. g4 e:d4 16. ⚘:d4 h:g4 17. f4!!

მხოლოდ ასე! წინააღმდეგ შემთხვევაში შავი მხედარი მეტად მოხერხებული პოზიციას დაიკავებდა e5-ზე. ამ გაბედული სვლით გურგენიძე მაქსიმალურად ამწვავებს ბრძოლას.

17... c5

აშკარაა, რომ 17... ∎:h4-ის შემთხვევაში თეთრები ადვილად აღწევენ მიზანს. მართლაც, შესაძლებელი 18. f5 ⚘g8 19. ♗f2 g5 20. fg ∎:g6 21. e:h8 ∎:h8 22. ⚘f6-ის შემდეგ შავების მდგომარეობა უიმედოა.

18. ⚘f2 f5 19. h5 ∎f8 20. ∎d5 f:e4?



გამოუსწორებელი შეცდომაა! მატერიალური და პოზიციური მსხვერპლით, რისკის გაწევით ბრძოლის უკიდურესობამდე გამწვავებამ ნაყოფი გამოიღო. გართულებულ, გაძნელებულ სიტუაციას ბლაღიძემ თავი ვერ გაართვა და ახლა ფორსირებულად აგებს. აუცილებელი იყო 20... ⚘:d5 21. ed ∎d7! 22. ♗d3! ∎f8 23. ♗:f5 ♗:d5 24. ♗g6 ♗f7 ან 24. ♗:d5 ∎:d5 25. e:g4 ⚘f6 ორივე შემთხვევაში შავებს შეეძლოთ თავის დაცვა.

21. ∎:e7 ∎g:e7 22. f5! ⚘f7

თუ 22... ⚘:f5, მაშინ 23. ♗g5 ∎ge6 24. ∎g2 და შავების პოზიცია უიმედოა.

23. ♗g5 ∎ge8 24. ⚘h4 c6 25. e:g4 ⚘d5

26. e:e4 მუქარის წინააღმდეგ შავებს უკეთესი არაფერი აქვთ. თუ 25... d5, მაშინ 26. ♗:g7 ⚘h7 27. ♗e5 ∎gd7 28. ♗e7 ∎gc8 29. ♗d8×.

26. c4!

ბევრი მოუსლოდნელობა დაატყდა თავს ბლაღიძეს ამ პარტიაში.

26... ⚘b8 27. ⚘h2 ♗f7 28. c:d5 c:d5 29. ⚘g3 d4 30. ⚘:d6 ∎h7 31. ♗:g7 ♗:g7 32. e:g7 ბლაღიძე დანებდა.

შავუჯროვანი ტერიტორიის სისუსტემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თეთრების წარმატებაში. სხვადასხვა ფერის კუ, ენდშპილისაგან განსხვავებით, მიტელშპილში მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ფაქტორია აქტიური მხარისათვის.

ამ პარტიაში თვალნათლივ გამოსჭვივის ბუხუტი გურგენიძის მძლავრი ანდივიდუალობა და შემოქმედებითი [illegible] ტაზია.

სასწავლო შეცდომა

ქვემოთ მოყვანილი პოზიცია შეიქმნა 1947 წლის 16 თებერვალს ოზურგეთის რაიონის ვაუთა ჩემპიონატის ბოლო ტურში მეორეთანრიგოსნებს შორის. ჩემპიონობისათვის გრიგოლ კალანდარიშვილს ყაიმიც აძლევდა ხელს, ხოლო პანტელეიმონ თენიეიშვილს — მხოლოდ მოგება.

თენიეიშვილი



კალანდარიშვილი

ახლა შავებს არ შეუძლიათ 25... c5 სვლით დაბმის გამოყენება 26. ∎e6!-ის გამო, რასაც, ცხადია, ხედავდა ერუდირებული და გამოცდილი თენიეიშვილი, მაგრამ ეტყობა, რომ ამ მუქარამ — „ორმაგმა ღია თავდასხმამ" — დაჩრდილა სხვა მხრიდან მხედრით მუქარის შესაძლებლობა. მთელი ყურადღება მიიპყრო e6 უჯრამ და თენიეიშვილიც აღკვეთს 26. ∎e6! მუქარას, მაგრამ...

26. ∎f5!

ამ ჩვეულებრივმა „ღია თავდასხმამ" იმსხვერპლა d8 ეტლი (25... ∎gf6-ის შემდეგ პოზიცია თანაბარია).

კალანდარიშვილმა 45-ე სვლაზე კიდევ ერთი ტაქტიკური დარტყმა განახორციელა, გაიმარჯვა ორმოცდამეათე სვლაზე და 13 ჭულით (თხუთმეტი შესაძლებლიდან) პირველი ადგილი გაიანდა.

ბატონი პანტელეიმონ თენიეიშვილი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, ხოლო გრიგოლ კალანდარიშვილი — ფიზიკის მასწავლებელი, მოწინავე ქართველ პედაგოგთა ოჯახის ღირსეული წევრი.



გამოცანები

თავი-ბოლო ერთი მაქვს და
შეკრული მაქვს წელი.
მცემენ, მაგრამ არად ვაგდებ.
ენა არ მაქვს — ვმღერი.

●

ნივთებს, საგნებს
ცემა-ტუქით
რომ გიმზადებ,
რა ვარ, მეტუკი?

●

გვერდები აქვს თეთრი,
თითქოს
დაუფარავს თრთვილს,
სიმინდს.

ტომრით მოწონილს,
მარცვალ-მარცვალ თვლის.

ნ. გვარიშვილი

ეკრანდა

დროებით გაბატონებულ
ჩაცმა-დახურვის ფორმას
პირველი ბგერა მოვაკელ.
დამრჩა შარადის ნორმა.
პასუხიც მყისვე გაუწყა,
განა ერთმა და ორმა!

შ. ამირანაშვილი

ჩემო პატარა მეგობრებო!

თქვენ უკვე გაგვლეთ 1991 წლის 364 ნაკოფიერი დღე. ახლა თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლია. სხედხართ ტელევიზორებთან და ელოდებით ახალი, 1992 წლის მოგრძანებას. ვიდრე ახალი წელი დადგებოდეს, 15 წუთი გაქვთ, თუ ამ დროში ამოხსნით თავსატეხს. ყველა თავსატეხისა და კროსვორდის ამოხსნა დაგეკვეგებათ: ციფრგლატზე აღნიშნული ციფრებით ისე უნდა შეასრულოთ მათემატიკური მოქმედებანი (შეკრება და გამრავლება), რომ მიიღოთ 365 (1992 წლის დღეების რაოდენობა). ყველა ციფრი მონაწილეობს თითოჯერ.

თავსატეხი შეადგინა და ახალი წელი
მოგილოცათ ალექსანდრე გორგიშელმა.



კროსვორდი

თარაზულად: 1. ბორჯომი; 5. პრესი; 6.პალესტინა; 8. აბრა; 11. პროლოგი; 14. პანტა; 16. ჯერ შრომა, მერე ბტომა; 17. ენიგერია; 20. გარდაბანი; 21. პალმა; 22. ტირანია.

შვეულად: 2. ოპალი; 3. ჯერ სწავლა, მერე გაკლა; 4. მისია; 7. ხანჯალი; 8. ტალანტი; 10. ბრეთი; 12. რომბი; 13. გრემი; 15. ტემპი; 18. ტრაკი; 19. ჰავაი.

გამოცანები

ტრაქტორი; ჩანგალი; კარები; თიხის ყალიბი.

მთავარი რედაქტორი ვალერი ჯინჭარაძე.

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ მდივანი), მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დავით მეტონიძე, იოსებ სამსონაძე, კახა-სიხარულიძე, თამაზ ტატიშვილი, ნანა ფაღლენიშვილი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, გაგულია ფელია, გივი ჭიჭინაძე, ზურაბ ჭემგურიძე, ნინო ხარაზიშვილი.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, კოსტავას, 14.
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-31-81, პ/მგ მდივნის — 93-58-05.

გადაეცა ასაწყობად 27. 11. 91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 03. 92. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,85. შეკვ. 2149. ტირაჟი 15.000

ჟურნალი აიწყო და დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „ხამშობლოს" სტამბაში.

Б 41/49

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურშა

თავგადასავალი

მხატვარი გივი პეტრიაშვილი

— მოდი, თოვლის პაპა გავაკეთოთ!

— აბა, დავიწყოთ, ყურშა!

— მიდი, ყურშა, დაგვეწიე!

— წავედიიით!

— ნეტავი, ყურშა სად დაიკარგა?

— ყურშა! ყურშა!



— აი, თურმე სად ყოფილა ჩვენი ყურშა!

ინდექსი 76157

ფასი 8 მან.